

სწავლების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო

პროფესორი დელეინ რ. სვენსონი

სარჩევი

I. სწავლის პრინციპები	3
მასწავლებლის ფუნქცია – მიზნების და ამოცანების განსაზღვრა	5
ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ მოსწავლეებზე/სწავლის პროცესზე	8
II. სწავლის მნიშვნელოვანი პრინციპები	10
1. შეგრძნებების გამოყენება და სტიმულირება:.....	10
2. სწავლის მრუდი	10
3. გახსოვდეთ ყურადღების დიაპაზონი	11
4. მეხსიერების ეფექტურად გამოყენება.....	11
5. სტუდენტთა მოტივაცია	12
6. სწავლის სხვადასხვა სტილის ურთიერშეთავსება	12
III. ურთიერთობის დამყარება აუდიტორიასთან	18
სხეული	18
თვალის კონტაქტი.....	18
გაწონასწორებულობა და იერი	18
ჟესტიკულაცია	18
რა უნდა გვახსოვდეს:.....	19
სხეულის მოძრაობები	19
სახის გამომეტყველება	19
ხმა, ინტონაცია და მისი ცვლილება.....	20
ხმის ხარისხი	20
ხმის დონე.....	20
საუბრის ტემპი.....	20
პაუზა	20
ბგერითი პრობლემები.....	20
იუმორის გამოყენება☺.....	23
IV. სწავლების მეთოდები	24
სწავლების თანამშრომლობითი ფორმები	26
V. სწავლების სპეციალური მეთოდები.....	38
VI. სწავლების და სწავლის რესურსები	51
VII. სწავლების ადგილის მომზადება.....	54
VIII. სტრუქტურირებული გაკვეთილის გეგმის შედგენა.....	57
IX. გამოცდები და შეფასების სხვა მეთოდები	59

I. სწავლის პრინციპები

სწავლება და ტრენინგი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელს უწყობს სწავლას. ინსტრუქტორი არა მხოლოდ საკმარისად კომპეტენტური უნდა იყოს თვითონ სწავლების საგანში, არამედ კარგად უნდა ესმოდეს, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები. ეს კი გულისხმობს მასწავლებლის ტრადიციული როლის, როგორც უპირატესად ცოდნის მიმწოდებლის, შეცვლას (პედაგოგიკიდან) სწავლის პროცესის ფასილიტატორით, როდესაც ჩვენ მოსწავლეების მიერ შესწავლას ვმართავთ სწავლების სხვადასხვა მეთოდების, ინფორმაციის წყაროების და მასალების გამოყენებით (ანდრაგოგიკისკენ).

ამჟამად უკვე არსებობს საკმარისად კარგად დამუშავებული ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ვსწავლობთ ჩვენ, რა პროცესებს აქვს ადგილი და რა მნიშვნელოვანი ფაქტორები ახდენენ გავლენას სწავლაზე. ამ ცოდნას შეუძლია უფრო მეტი წვლილი შეიტანოს სწავლების და სასწავლო კურსის დაგეგმვის ყველა ასპექტში.

სწავლების მეთოდოლოგიის ამ საფუძვლების შესწავლის შედეგად თქვენ დაეუფლებით სწავლის ძირითად პრინციპებს, განაახლებთ თქვენს გამოცდილებას და მზაობას სწავლების მეთოდების, სწავლებისა და სწავლის რესურსებისთვის. გარდა ამისა, გააუმჯობესებთ თქვენს მიერ გაკვეთილების დაგეგმვის უნარებს.

ძირითადი წესები

სასწავლო სეანსის დაწყებისას სასურველია, დაადგინოთ ძირითადი წესები, რომლებითაც იხელმძღვანელებთ სწავლების პროცესში. ეს უნდა მოხდეს ტრენერსა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გზით. ტრენერს შეიძლება წინასწარ ჰქონდეს მომზადებული წესების ჩამონათვალი და შესთავაზოს იგი ჯგუფს მოსაწონად, ხოლო მონაწილეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი შენიშვნები. ეს პროცესი შეიძლება წარიმართოს “ბრეინსტორმინგის” მეთოდით.

ჩვენ, ყველანი, ზრდასრული ადამიანები და პროფესიონალები ვართ; მაშ რაში გვჭირდება ძირითადი წესები სასწავლო სეანსებისთვის? პასუხი მარტივია:

- ეს წესები წარმოადგენენ სახელმძღვანელო წესებს ორივე მხარისათვის;
- ისინი უზრუნველყოფენ ყველას თანაბარ ინფორმირებულობას იმ პრინციპების შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს სასწავლო სესიას (თითოეულს აქვს საერთო გაგება იმისა, თუ რა ხდება);

- სწავლების პროცესის მიმდინარეობისას ისინი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საკონტროლო მასალა (ანუ შევამოწმოთ, როგორ მიდის საქმე? რა არის საჭირო, რომ უფრო სხვანაირად დავაკმაყოფილოთ მოსწავლეების საჭიროებები?);
- სწავლების პროცესის მიმდინარეობისას ისინი გვებმარება იმაში, რომ არ მოხდეს დასახული კურსიდან გადახვევა;
- ისინი მოსწავლეებისთვის ქმნიან “უსაფრთხო” გარემოს, ვინაიდან მოსწავლეებმა იციან, თუ რას უნდა მოელოდნენ ჩვენგან;
- ამ პროცესში ყველას ეძლევა საშუალება, თვითონ შესთავაზოს წესები. შესაბამისად უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ადამიანები მათ მიერვე შექმნილ წესებს უფრო დაემორჩილებიან.

მასწავლებლის როლი

რა არის ჩემი, როგორც მასწავლებლის როლი?

- დავებმარო სტუდენტებს სწავლის მიზნების მიღწევაში.
- მონაწილეები ჩავაბა სწავლების პროცესში.
- ვაჩვენო მასალების შესაბამისობა სწავლის მიზნებთან.
- არ გადავუხვიო დაგეგმილ დროს და დასახულ მიზანს.
- ენთუზიაზმი + მონდომება = დაინტერესებულ სტუდენტებს.
- თვალყური ვადევნო გადაცემული ინფორმაციის გაგებას სტუდენტების მიერ.
- ყურადღებით მოვუსმინო სტუდენტებს.
- შევქმნა სწავლების უსაფრთხო გარემო, რომელიც აღიქვამს მათ როგორც ზრდასრულებს და თანატოლებს.

მასწავლებლის ფუნქცია – მიზნების და ამოცანების განსაზღვრა

ღიად დატოვებულ სივრცეში დააფიქსირეთ თქვენი საკუთარი მიზნები და ამოცანები. რაში ხედავთ თქვენ მათ?

თქვენი მიზნების და ამოცანების განაცხადი, რომელიც ერთი ან ორი წინადადებისგან უნდა შედგებოდეს, უნდა იყოს სამოქმედო განაცხადი. იგი ყველასთვის გასაგებს უნდა ხდიდეს, თუ უშუალოდ თქვენ როგორ ხედავთ თქვენს თავს მასწავლებლის როლში. მიზნების და ამოცანების განაცხადი ამავდროულად თქვენი “ქცევის” კოდექსია. ანუ, თქვენი ქცევა უნდა იმეორებდეს იმას, რაც თქვენს განაცხადში დააფიქსირეთ.

რამდენიმე ფრაზით ჩამოაყალიბეთ, თქვენი აზრით, რა ძირითად ასპექტებს გულისხმობს მასწავლებლობა:

ჩემი, როგორც მასწავლებლის მიზნები და ამოცანებია:

მცირე სასწავლო ჯგუფები მიზნები და ამოცანებია:

სწავლის პროცესში მონაწილე მთლიანი გუნდის მიზნები და ამოცანებია:

რა არის სწავლა და როგორ ვსწავლობთ?

ყველაზე მარტივი გაგებით, სწავლა ნიშნავს ახალი ცოდნის, უნარების და მიდგომების დაუფლებას, რის შედეგადაც გარკვეულწილად იცვლება ჩვენს მიერ რაიმეს კეთების შესაძლებლობა. კომპეტენტურობის ამაღლებაზე ორიენტირებული სწავლებისას, ჩვენ ვცდილობთ, გამოვიწვიოთ ჩვენში ისეთი ცვლილება, რის შედეგადაც უფრო კომპეტენტური გავხდებით ამა თუ იმ სამუშაო ფუნქციის შესრულების თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, სწავლის პროცესი შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიყურებოდეს სწავლის სხვადასხვა გარემოში. სწავლა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალების გამოყენებით: მაგალითად, კითხვების დასმით, წაკითხვით, რაიმე კვლევის ჩატარებით, სხვებისთვის მოსმენით, ამოცანის შესრულებით, მეცადინეობითა და შეცდომებზე სწავლით და ა.შ.

ყველანაირი სწავლა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ეტაპებს: შესაბამისი ცოდნის მიღება; მიღებული ცოდნის გააზრება; დაბოლოს - მისი გამოყენება.

შესაბამისი ცოდნის მიღება:

ყველანაირი სწავლა გულისხმობს რაიმე ცოდნის მიღებას, თუმცა მისი ფარგლები შეიძლება სხვადასხვა იყოს, იმის მიხედვით, თუ რა არის შესწავლის ობიექტი. მაგალითად, უცხო ენის შესწავლისთვის აუცილებელია დიდი ოდენობით ცოდნის მიღება, რაც იმდენად ინტენსიური არ არის უნარების შესწავლაზე მიმართულ საგნებში. თუმცა თვით უნარების დაუფლებაზე მიმართული სწავლების შემთხვევაშიც კი, როგორცაა, მაგალითად, ფეხბურთის თამაში, მაინც აუცილებელია გარკვეული ცოდნის მიღება ქმედებათა მეტი ეფექტურობისათვის (მაგ. თამაშის წესების ცოდნა). ცოდნის მიღებისას გადამწყვეტი ფაქტორია მეხსიერება.

მიღებული ცოდნის გააზრება:

თავისთავად მხოლოდ ცოდნის მიღება, როგორც წესი, არასაკმარისია ეფექტურად სწავლისთვის. სტუდენტმა უნდა გაიაზროს, რა ისწავლა და უნდა იცოდეს – როდის, სად და როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა. ამიტომ თქვენს მიერ მიღებული ინფორმაციის გააზრება გადამწყვეტ როლს თამაშობს ეფექტურად სწავლის თვალსაზრისით.

გააზრება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე დამახსოვრებას. გააზრება ჩვენგან მოითხოვს, რომ ვიფიქროთ, რას ვსწავლობთ და შევიგრძნოთ იგი იმ გაგებით, თუ როგორ გამოიყენება ეს ცოდნა რეალურ ცხოვრებაში. გააზრების გარეშე, ჩვენს მიერ დამახსოვრების გზით ნასწავლი მასალა ნაკლებად გამოიყენებადი იქნება სინამდვილეში და, სავარაუდოდ, მალე დაგვაავიწყდება.

მიღებული ცოდნის გამოყენება:

სწავლა, როგორც წესი, ემსახურება პრაქტიკულ მიზანს - განვავითაროთ ჩვენს მიერ ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების უნარი. ამ მხრივ, სწავლა მოიცავს რეალურად ამ საქმიანობის კეთებას, ხოლო მოსწრების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სწორედ პრაქტიკული გამოყენება აქცევს ახალ ცოდნას მოსწავლისთვის სასარგებლოდ და ეხმარება მას, გააბას კავშირი მიღებულ ცოდნასა და მის გამოცდილებას შორის.

თვით სწავლის პროცესში, სწავლის ზემოაღნიშნული სამი კომპონენტი ერთობლიობაში აღიქმება. ისინი ურთიერთქმედებენ დინამიურად და ერთობლივად უწყობენ ხელს შესწავლის პროცესს.

ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ მოსწავლეებზე და სწავლის პროცესზე

სტუდენტმა უნდა გაითავისოს სწავლის აუცილებლობა! ამისათვის შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- მასწავლებელმა სტუდენტს შესთავაზოს ახალი შესაძლებლობების მოსაინჯვა თვითრეალიზებისთვის.
- მასწავლებელი უნდა დაეხმაროს სტუდენტს, გაერკვეს, თუ რისი გაუმჯობესება სურს მას.
- მასწავლებელი უნდა დაეხმაროს თითოეულ სტუდენტს, დაინახონ ხარვეზი მათ მისწრაფებასა და მოსწრების ამჟამინდელ დონეს შორის.
- მასწავლებელი უნდა დაეხმაროს სტუდენტს, გაერკვეს ცხოვრებისეულ პრობლემებში, რომლებსაც ის აწყდება კონკრეტულ სფეროში პირადი გამოცდილების ნაკლებობის გამო.

სწავლის გარემოს უნდა ახასიათებდეს ფიზიკური კომფორტი, ურთიერთნდობა და პატივისცემა, მზაობა ურთიერთდახმარებისათვის, გამოხატვის თავისუფლება და განსხვავებათა აღიარება-მიღება. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების არსებობა:

- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთ გარემო პირობები, რომლებიც არის კომფორტული (მერხების და სკამების განლაგება, ტემპერატურა, განათება, ვენტილაცია) და ინტერაქტიული (არავინ არ ზის სხვის უკან).
- მასწავლებელმა უნდა აღიაროს თითოეულ სტუდენტი, როგორც ღირსეულ ადამიანს და პატივს სცემდეს მის გრძნობებს და მოსაზრებებს.
- მასწავლებელი უნდა ესწრაფვოდეს კომფორტული გარემოს შექმნისაკენ იმით, რომ ხელს უწყობდეს თანამშრომლობით საქმიანობებს და თავს იკავებდეს კონკურენციის წაქეზებისა და შეფასებითი გადაწყვეტილებების მიღებისგან.
- მასწავლებელი უნდა გამოხატავდეს თავის საკუთარ გრძნობებს;
- მასწავლებელმა თავისი რესურსები წვლილის სახით უნდა შეიტანოს, როგორც თანა-მოსწავლემ, ერთობლივ მიზანში.

სტუდენტი სწავლის მიზნებს უნდა აღიქვამდეს, როგორც საკუთარ მიზნებს.

- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტი ჩაერთოს სწავლის მიზნების ჩამოყალიბების ერთობლივ პროცესში, რომელშიც ხდება სტუდენტების, დაწესებულების (ორგანიზაციის), სწავლის საგნის და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინება.

სტუდენტი უნდა იზიარებდეს პასუხისმგებლობის საკუთარ წილს სწავლების დაგეგმვასა და განხორციელებაში და, აქედან გამომდინარე, გრძნობდეს ამ პასუხისმგებლობის შესრულების შინაგან ვალდებულებას. ეს მიიღწევა, თუ:

- მასწავლებელი უზიარებს სტუდენტებს თავის მოსაზრებებს სწავლის პროცესის შესაძლო ვარიანტების შესახებ.
- სასწავლო მასალების და მეთოდების შერჩევა ხდება სტუდენტების მიერ მასწავლებელთან ერთად, არსებული ვარიანტების ამორჩევით.
- მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს იმაში, რომ მათ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა ჯგუფურ დავალებათა შესრულების პროცესში (ჯგუფებად დაყოფა პროექტების მიხედვით, დამოუკიდებელი სამუშაო, გუნდები).

სწავლების პროცესს კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლეების გამოცდილებასთან და ეყრდნობოდეს ამ გამოცდილებას. ეს მოხდება, როცა:

- მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს, გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება და რესურსები სწავლისათვის, ისეთი მეთოდების მეშვეობით, როგორცაა ჯგუფური დისკუსიები და როლური თამაშები.
- მასწავლებელი მის ხელთ არსებულ რესურსებს იყენებს იმგვარად, რომ ეს შესატყვისი იყოს კონკრეტული სტუდენტების გამოცდილების დონესთან.
- ამდენად სწავლა ხდება უფრო მიზნობრივი, მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ახალი ნასწავლის გამოყენებაში და მის მიერთებაში მათ არსებულ გამოცდილებას.

სტუდენტს უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ იგი წინ მიიწევს მის მიერ დასახული მიზნებისკენ. ეს ხდება როცა:

- მასწავლებელი და სტუდენტები ერთობლივად შეიმუშავენ ურთიერთმისაღებ კრიტერიუმებს და მეთოდებს, რომლითაც მოხდება სწავლის მიზნებისკენ მსვლელობის გაზომვა.
- მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს, შეიმუშაონ და გამოიყენონ თვითშეფასების პროცედურები ზემოხსენებული კრიტერიუმების საფუძველზე.

II. სწავლის მნიშვნელოვანი პრინციპები

1. შეგრძნებების გამოყენება და სტიმულირება:

გონებრივი მოქმედების სტიმულირება ხდება ჩვენი ხუთი შეგრძნების მეშვეობით. კვლევით დადგინდა, თუ პროცენტულად რა წვლილი შეაქვს თითოეულ შეგრძნებას მიწოდებული მასალის შესწავლაში:

მხედველობა: 75%

სმენა: 13%

შეხება: 6%

გემო: 3%

შეხება: 3%

რაც უფრო მეტია შეგრძნებების კომბინაცია, რომელთა სტიმულირებაც ხდება სწავლის პროცესში, უფრო მაღალია სწავლის წარმატების ალბათობა. პროცენტულად დასწავლის ინტენსივობა შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს. ჩვენ ვსწავლობთ:

წაკითხვით	10%
სმენით	20%
ხილვით	30%
ხილვით და სმენით	40%
მსჯელობით	50%
გამოცდით	70%
სწავლებლით	90%

სწორედ ამ მიზეზით ვიყენებთ აქტიურ მიდგომას სწავლისადმი. მოსწავლეების მხრიდან ფიქრში, შეკითხვების დასმაში და რეალური სამუშაოს კეთებაში ჩართულობის საჭიროებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლის ხელშეწყობაში, განსაკუთრებით ზრდასრულ მოსწავლეებთან მიმართებაში.

2. სწავლის მრუდი

სწავლა მუდმივი პროცესია, მაგრამ მისი პროგრესი ყოველთვის ერთნაირი არ არის. მაგალითად, როდესაც რამე ახალს სწავლობთ, ხშირად გარკვეული პერიოდი პროგრესი ნაკლებია, ხოლო შემდეგ უცებ განვიცდით პროგრესის სწრაფ მატებას. როდესაც მოკლედ დროში ბევრ ინფორმაციას ვიღებთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ იგივე დატვირთვით ვმუშაობთ, როგორც მანამდე, პროგრესი მაინც იკლებს. სწავლის პროგრესს ამ დროს გრაფიკული მრუდის სახით თუ წარმოვიდგინოთ, ეს

მომენტი მრუდში სწორი ხაზით აღინიშნება. ამ პერიოდში, როგორც წესი, ხდება იმიდ კონსოლიდირება, რაც უკვე ვისწავლეთ.

სწავლის ასეთი რეჟიმის გამო, მნიშვნელოვანია დავეხმაროთ სტუდენტებს, გააცნობიერონ, როდის განიცდიან ისინი პროგრესს და როდის აღწევენ სწორ ხაზს. ამით ისინი შეძლებენ, შეინარჩუნონ რწმენა და მოტივაცია სწორი ხაზის (ანუ პროგრესის შეჩერების) პერიოდში ერთის მხრივ და მაქსიმალურად ისარგებლონ პროგრესის მატების მომენტით მეორეს მხრივ.

3. გახსოვდეთ ყურადღების დიაპაზონი

ყურადღება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის პოცესში. კარგი ყურადღების გარეშე სწავლა, ალბათ არასრული და არაეფექტური იქნება. რა თქმა უნდა, ყურადღებას უფრო ვინარჩუნებთ მაშინ, როდესაც მოტივირებული ვართ. ტიპიურ გაკვეთილზე, სადაც მხოლოდ მასწავლებელი ლაპარაკობს, ჩვენი ყურადღება თავდაპირველად მობილიზებულია და შენარჩუნებულია 10-12 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად ეცემა. 20 ან მეტი წუთის შემდეგ ყურადღება საერთოდ იკარგება. ეს გვიჩვენებს, რომ თუ მასწავლებელი დიდხანს ილაპარაკებს და არ მისცემს სტუდენტს მონაწილეობის შესაძლებლობას, ლექცია არაეფექტური იქნება. ზოგიერთი მასწავლებელი ფიქრობს, რომ მისი მხრიდან მეტი ჩართულობა ნიშნავს მეტ სწავლას. ეს კი აშკარად არასწორია. როგორც მასწავლებელი, თქვენ უნდა იყოთ მზად სწავლების მეთოდის შესაცვლელად ყოველ 15-20 წუთში ერთხელ, რათა უზრუნველყოთ თქვენი სტუდენტების მთელი ყურადღება.

4. მეხსიერების ეფექტურად გამოყენება

ცოდნის შექმნა ეფექტური სწავლის მთავარი კომპონენტია. ცოდნის შექმნა მოიცავს როგორც დამახსოვრებას ისე ამ ცოდნის გაცნობიერებას. ადამიანის მეხსიერების სისტემა ორი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან შედგება:

1. მოკლევადიანი მეხსიერების სისტემა (მმს), რომელიც ყოველ ჯერზე ინფორმაციის მხოლოდ დაახლოებით შვიდ ბიტს უმკლავდება.
2. გრძელვადიანი მეხსიერების სისტემა (გმს), რომელსაც ინფორმაციის შენახვის თითქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს. ეს მოიცავს მთელ ინფორმაციას, რაც კი შეგვიძლია გავიხსენოთ.

იმისათვის, რომ ინფორმაცია გახდეს მუდმივი, ძალზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის გადატანა მმს-დან გმს-ში. ამ გადასვლას ხელი ეწყობა მაშინ, თუ ამ ინფორმაციას რაღაც მნიშვნელობა აქვს სტუდენტისთვის; მისი მოცულობა მართვადია (დაახლოებით 7 ბიტი); ორგანიზებულია და საკმარისი რაოდენობით არის გამეორებული (ხდება რამდენჯერმე გამეორება სანამ ადვილად გასახსენებელი არ გახდება).

ფაქტიური ინფორმაციის 60%-ზე მეტი იკარგება 48 საათში, თუ არ მოხდება ნასწავლის შემდგომ გამეორება ან გადახედვა. ყველაზე ეფექტურად ხდება უნარ-ცვალების ათვისება. მაგალითად, როგორც კი ისწავლით ცურვას თქვენ ის აღარ დაგავიწყდებათ, თუნდაც დიდხანს არ იცუროთ. რაც უფრო მეტი ინფორმაციას გადახედავთ სწავლიდან პირველ ან შემდეგ დღეს, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ ის ჩაჯდეს გრძელვადიან მეხსიერებაში.

მეხსიერების ეფექტური გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სწავლებაზე და სწავლაზე. პირველი, სტუდენტებს უნდა შეახსენოთ, თავი აარიდონ გავრცელებულ შეცდომას, როდესაც ცდილობენ ძალზე სწრაფად ძალზე დიდი ინფორმაციის დამახსოვრებას, ხოლო მასწავლებლებმა უნდა აღიარონ, რომ თუ ძალიან დიდ ხანს ილაპარაკებენ ან ეცდებიან სტუდენტებისთვის ძალზე სწრაფად ძალზე ბევრი ინფორმაციის მიწოდებას, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ისინი დაიმახსოვრებენ ამდენ ინფორმაციას. გარდა ამისა, მასწავლებელმა ინფორმაცია უნდა გადასცეს კარგად ორგანიზებულად და მისცეს სტუდენტებს დრო შინაარსის გასააზრებლად.

5. სტუდენტთა მოტივაცია

მოტივაცია უმნიშვნელოვანესია ეფექტური სწავლისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ ეფექტურად და დამოუკიდებლად, თუ აინტერესებთ ის რასაც სწავლობენ. იმისათვის, რომ მოსწავლეებს აინტერესებდეთ ის, რასაც სწავლობენ, ინსტრუქტორი ვალდებულია მასალა წარმოადგინოს ისე, რომ მიიზიდოს მოსწავლეების ინტერესი. სწორედ ეს გახლავთ სწავლების მეთოდოლოგიის კურსის ამოცანაც, რომ ინსტრუქტორს გამოუმუშავოს სტუდენტების დაინტერესების უნარი.

6. სწავლის სხვადასხვა სტილის ურთიერშეთავსება

სხვადასხვა ადამიანს სწავლის პროცესში ინფორმაციის გადამუშავების, აზროვნების და ქცევის ინდივიდუალური სტილი აქვს. ეს ნიშნავს, რომ მართალია, ჩვენ ყველა ვსწავლობთ ცოდნის შეძენით, ფიქრითა და კეთებით, მაგრამ ჩვენ ამ მოქმედებებს ვასრულებთ ჩვენთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მიდგომებითა და გემოვნებით.

ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები რაიმეს დასწავლას სრულიად სხვადასხვანაირად შეიძლება ახერხებდნენ. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი ეცდება ჯერ შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა ან გაიაზროს დავალება მთლიანობაში და შემდეგ გადავიდეს უფრო კონკრეტულ დეტალებზე. ამისგან განსხვავებით, სხვებს ურჩევნიათ ამოცანის შესრულებას მიუდგნენ თანმიმდევრულად, სხვადასხვა ქვეამოცანებს შორის კავშირების თანდათანობით და მეთოდურად დამყარებით და მხოლოდ ამის შემდეგ დაინახონ მთლიანი სურათი. ყველაზე

ეფექტური მოსწავლეები არიან ისინი, რომლებსაც შეუძლიათ ორივე ამ სტილის ერთდროულად და მრავალხრივად გამოყენება.

შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები განსხვავებულ მიდგომას ამჯობინებენ. ზოგიერთი ადამიანი აშკარად ამჯობინებს სწავლის პროცესში შემდეგი მოდალობების გამოყენებას:

- მხედველობით უნდა დაინახოს სურათი, სიტყვები, დიაგრამები
- სმენით უნდა მოისმინოს განმარტება
- კინეტიკური თვითონ უნდა შეასრულოს მოქმედება

ჩვენს მიერ ცოდნის მიცემისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ განსხვავებული სწავლის სტილებისა და გემოვნებების შედეგები. ეს განსხვავებები აშკარად გვკარნახობს, რომ სწავლაში აუცილებელია სხვადასხვა შეგრძნებების ჩართვა და ბევრი სხვადასხვა გზის შეთავაზება სტუდენტებისთვის, რომ მათ საბოლოო ჯამში შეძლონ ცოდნის მიღება. სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არა მხოლოდ იმისათვის, რომ სწავლა იყოს საინტერესო, არამედ იმისათვის, რომ პასუხობდეს სტუდენტების განსხვავებულ გემოვნებას.

ზრდასრული სტუდენტების სწავლების თავისებურებები

რა ახასიათებთ და რა განასხვავებს სხვებისგან ზრდასრულ სტუდენტებს?

- არიან მიზანზე ორიენტირებული!
- აქვთ სწავლების პროცესის გამოცდილება!
- ხშირად აკავშირებენ ახალს ძველთან!
- აქვთ თავიანთი მოსაზრებები!
- აქვთ კარგად გამჯდარი ჩვევები!
- მათთვის აუცილებელია, რომ იყონ ჩართული პროცესში!

ანდრაგოგიკის და პედაგოგიკის ურთიერთშედარება¹

საკითხი	ანდრაგოგიკა	პედაგოგიკა
განსაზღვრება	სწავლება მიმდინარეობს იმის მიხედვით, თუ როგორ სწავლობენ დიდები.	სწავლება მიმდინარეობს იმის მიხედვით, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები.
მიზანი	ადამიანებისთვის იმის სწავლება, თუ როგორ ისწავლონ და იმოქმედონ დამოუკიდებლად; მათი დამოუკიდებლობის გაზარდა.	სტატიკური კულტურის და “შიდა ჯგუფის” პრინციპის ჩანერგვა მათ მიერ მიღებული გამოცდილების საფუძველზე; კონტროლის განხორციელება
ორიენტაცია დროზე	ხედვა მომავლისკენ: ადამიანების მომზადება მომავლისთვის; მათი სწავლება, თუ როგორ მოიქცნენ, როცა მოუწევთ უცნობ საკითხთან შეხება	ხედვა წარსულისკენ: წარსულში დაგროვებული ტრადიციული ცოდნის, უკვე ცნობილის გადაცემა.
მოსწავლის თვითშეფასება	დამოუკიდებელი, ავტონომიური, ინდივიდუალურია ანუ “ზრდასრულია”	დამოკიდებულია მასწავლებელზე და ავტორიტეტულ პირებზე ანუ “ბავშვია”
სტუდენტის როლი	სტუდენტი არის რესურსი; სტუდენტები სწავლობენ ერთმანეთის გამოცდილებიდან	სტუდენტი არის ღრუბელი, რომელიც შეიწოვს ინფორმაციას
მასწავლებლის როლი	კატალიზატორი – ახდენს გამოცდილების დალაგებას	ექსპერტი – ინფორმაციის წყარო
სწავლების/სწავლის მეთოდები	დედუქციური – ჯგუფური განხილვები, ექსპერიმენტული შესწავლა, პრაქტიკული სავარჯიშოები, კონსულტაცია, თვით-შეფასება	ინდუქციური – ლექციის წაკითხვა, პრეზენტაციები, სავარჯიშოები ძირითადად ცალმხრივი კომუნიკაცია და ნაკლები ურთიერთქმედება
მოსალოდნელი ჯილდო	შინაგანი – პრობლემების გადაწყვეტის უნარი,	გარეგანი – ნიშნები, სწავლის შემდგომ დონეზე გადასვლა,

¹ გადმოხედილია მასალიდან: “ანდრაგოგიკის და პედაგოგიკის შედარება”, გამომცემის სახლი, 1991წ.

გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლად (თვითონ) უნარი, აზროვნების უნარი. კარიერული შესაძლებლობები. სვლის უნარი.

ვარაუდები

- სტუდენტები ახორციელებენ თვითხელმძღვანელობას და თვითკონტროლს სასწავლო მიზნების მისაღწევად მსვლელობის პროცესში, რომელთა მიღწევაც მათ საკუთარი ნებით სურთ.
- თვითშეფასება უფრო ეფექტურია, ვიდრე მასწავლებლის შეფასება, ხოლო ჯგუფელებისგან მიღებულ გამოხმაურებებს (უკუკავშირს) შეუძლია დააჩქაროს პროცესი.
- წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებ იმას, რაც იცი.
- ვერ ვენდობით სტუდენტს იმაში, რომ მან თვითონ იცის რისი სწავლა სჭირდება და არ უნდა მივცეთ საშუალება, ისწავლოს საკუთარი სასწავლო პროგრამით გარედან ჯილდოების მიღების გარეშე.
- მასწავლებელი სტუდენტებისთვის არის შეფასების და გამოხმაურების (უკუკავშირის) ერთადერთი წყარო, ვინაიდან მოსწავლეებს არ აქვთ საკუთარი მოსწრების შეფასების უნარი.
- წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იცი.

მცირე რჩევები ზრდასრულებთან ურთიერთობისთვის

დოქტორი ბარტონ ვ. კრეიტლოუ, ვისკონსინის უნივერსიტეტი

ერთ-ერთი წარმატებული დაწყებითი მასწავლებელი, რომელიც ახლადდაქირავებული იყო ზრდასრულთათვის ძირითადი განათლების მისაცემად, უკმაყოფილო იყო თავისი შრომის შედეგებით. ისევე როგორც ყოველთვის, ის ახლაც ასწავლიდა კითხვას, მაგრამ ახლა რატომღაც ეს აღარ გამოსდიოდა და სტუდენტებს კარგავდა. მან თქვა, რომ ასე გულმოდგინედ არასოდეს უმუშავია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დაგეგმვის თვალსაზრისით, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდიოდა. მან მკითხა: “რას ვაკეთებ არასწორად?” მე ვერაფერს ვუპასუხებდი, სანამ მის გაკვეთილს არ დავესწრებოდი, მაგრამ შემდგომი საუბრით გამოირკვა, რომ ის კარგად

იცნობდა სასწავლო საგანს (ის კითხვას ასწავლიდა), მაგრამ არ იცნობდა ზრდასრულ ადამიანებს (ვისაც ასწავლიდა). საბოლოო ჯამში მე მას ვუთხარი, გაეგრძელებინა თავისი კითხვის პროგრამაზე მუშაობა და დაგეგმვა, მაგრამ კითხვის სწავლების მისეული ცოდნა შეერწყა ბევრ სხვა რამესთან, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს მნიშვნელოვანი საკითხები შემდეგია:

1. პირადად გაეცანით სტუდენტებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დამატებითი შრომაა.
2. შეეცადეთ გამოარკვიოთ თითოეული სტუდენტის პირადი “საჭიროებები” და მისწრაფებები.
3. სასწავლო პროგრამა ააწყვეთ სტუდენტის (პოტენციური სტუდენტის) საჭიროებების მიხედვით.
4. დარწმუნებული იყავით, რომ ყოველ სტუდენტს აქვს პოტენციური იყოს წარმატებული რაიმეში.
5. მოუწოდეთ კლასში მყოფ სტუდენტებს, ისაუბრონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები თავისუფლად.
6. ჩააბით სტუდენტები განხილვაში.
7. იყავით მომთმენი, იყავით გამგები. ყოველთვის მოუსმინეთ თქვენს სტუდენტებს.
8. მუდმივად ეძებეთ იდეები (მოსაზრებები), რომლებიც ზრდასრული სტუდენტების შესატყვისია.
9. შეეცადეთ, სტუდენტებმა რაიმე მასალა ისწავლონ თვითონ.
10. მორცხვ სტუდენტებს მიეცით საშუალება, იგრძნონ თავი “როგორც საკუთარ სახლში”, სანამ მათ რაიმე შეკითხვებს დაუსვამდეთ.
11. იყავით მიუკერძოებელი. ყოველთვის ნუ მისცემთ სიტყვას მრავლისმეტყველ სტუდენტებს, რათა არ დაიჩაგრნონ უფრო მორიდებულნი.
12. შეეცადეთ დაინახოთ ძალთა გადანაწილება (გავლენის მომხდენი ფაქტორების მოქმედება), როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური.
13. მეტად ისაუბრეთ მათთან.
14. გამოიყენეთ ანალოგიები, მეტაფორები და ღიმილი აბსტრაქტული იდეების კონკრეტულად გამოსახატავად.
15. კლასის ორგანიზებისას იყავით მოქნილი (დაუშვით ცვლილებები კლასის ფორმატს და სილაბუსში).

16. სასწავლო სესიები გახადეთ არაფორმალური, მაგრამ დაიცავით ის მინიმალური წესები, რომლებიც გაქვთ.
17. იყავით სასიამოვნო, მომღიმარი, მაგრამ გულმოდგინე.
18. თუ ეს გამოგადგებათ, დააწესეთ რამდენიმე წესი და გააცანით ისინი სტუდენტებს.
19. თქვენი პასუხისმგებლობების შესრულებისას იყავით პუნქტუალური და მტკიცე.
20. დააფიქსირეთ “ტრამპლინები” სწავლების დაწყებისთვის: წამოძახებული ნათქვამი კომენტარი ან სიტყვები შეიძლება მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდეს.
21. რაც შეიძლება ეცადეთ, გააფართოვოთ სწავლების პოტენციალი შორსმიმავალი კითხვების დასმით მაშინაც კი, როდესაც პასუხი “კი” ან “არა” შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს.
22. ეცადეთ, რომ ყველამ მიიღოს რაიმე მონაწილეობა.
23. ხაზი გაუსვით დადებით მხარეს.
24. შეინარჩუნეთ იუმორის გრძნობა.
25. აჩვენეთ, რომ კარგი მსმენელი ხართ.
26. ისწავლეთ, როგორ დასვათ შეკითხვა დახელოვნებულად.
27. აღიარეთ, რომ ზოგი რამ არ იცით. შემდეგ ეცადეთ, ისწავლოთ.
28. შეეცადეთ ფიზიკური გარემო იყოს მიმზიდველი.

III. ურთიერთობის დამყარება აუდიტორიასთან

ტრიბუნიდან საუბრის უნარები

მასწავლებელს და სტუდენტს შორის ეფექტური კომუნიკაციის მთავარ ღერძს წარმოადგენს თქვენს მსმენელებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ტრიბუნიდან საუბრის სხვადასხვა უნარების გამოყენებით თქვენ შეძლებთ, დაამყაროთ კონტაქტი აუდიტორიასთან, რაც დაგეხმარებათ მსმენელებამდე სასწავლო საკითხების უკეთ მიტანაში. მათი საშუალებით თქვენ ჩამოაყალიბებთ გარემოს, რომელშიც მობილიზებული იქნება ზრდასრული მსმენელის ყურადღება. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ყველა თქვენი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოთ აუდიტორიასთან ეფექტური ურთიერთობის მიზნებისთვის, რაც გულისხმობს თქვენი სხეულისა და ხმის რესურსების სრულმეტრაჟიან გამოყენებას.

სხეული

კვლევები აჩვენებს, რომ ჩვენს მიერ გადაცემული ინფორმაციის 60% სწორედ სხეულის ენით გადაცემულ ინფორმაციაზე მოდის და მხოლოდ 30% - სიტყვებით გადაცემულ ინფორმაციაზე. ეს ნიშნავს, რომ სხეულის ეფექტურად გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თქვენს მიერ აუდიტორიასთან ურთიერთქმედების შესაძლებლობაზე. სხეულებრივი კომუნიკაციის ძირითადი ასპექტები, რომლებზეც ყურადღება უნდა გაამახვილოთ, არის შემდეგი:

თვალის კონტაქტი

- უყურეთ მათ თვალებში
- დააფიქსირეთ რამდენიმე მეგობრულად განწყობილი სახე
- მიმოატარეთ მზერა ისე, რომ მოიცვათ მთელი აუდიტორია

გაწონასწორებულობა და იერი

- იგძენით თავი კომფორტულად, მოიქეციით კომფორტულად
- თქვენი სამოსი უნდა იყოს ვითარების შესაფერისი
- თქვენი ქცევით გადაეცით ის შთაბეჭდილება, რისი მოხდენაც გასურთ
- ხელები გამოიყენეთ ბუნებრივად

ჟესტიკულაცია

- ეხმარება სათქმელის მიტანაში
- გეხმარებათ აუდიტორიის მხრიდან ისეთი რეაქციის მიღებაში, როგორც თქვენ გასურთ
- ჩვეულებრივი ჟესტიკულაციებია:
 - ხელის მოვლება – გამოხატავს ფართო არეალს

- ვერტიკალური, მჭრელი მოძრაობა ხელით (რაიმეზე ხაზგასმა) – ახდენს კონკრეტული საკითხებისა და გამოთქმული მოსაზრებების დაყოფა/დაკონკრეტებას
- გაშლილი ხელისგულები – მიანიშნებს “გაჩერებას” ან გამოთქმული მოსაზრების უარყოფას
- გაშლილი ხელისგულები ზემოთ აწეული – გამოხატავს მზაობას თანხმობისთვის, გახსნილ გონებას ან ჩართულობას
- ზემოთ აწეული მუშტი – აუდიტორიას თქვენსკენ აბრუნებს და გამოხატავს აგრესიულ ხაზგასმას

რა უნდა გვახსოვდეს:

- შესტიკულაცია არ უნდა იყოს ზედმეტად თვალშისაცემი, რათა სტუდენტდება ყურადღება მიაქციონ გამოთქმულ აზრს და არა თვითონ შესტიკულაციას
- შესტიკულაციები უნდა ცვალოთ საჭიროებისამებრ. თუ ზედმეტ შესტიკულაციას გამოიყენებთ, ის დაკარგავს ეფექტს
- შესტიკულაცია შეუხამეთ ფრაზას ან სიტყვას
- გონივრულად შეარჩიეთ თქვენი შესტიკულაცია – არასწორ შესტიკულაციას სჯობს, საერთოდ არ გამოიყენოთ იგი
- ზედმეტად ბევრი შესტიკულაციის გამოყენება მას ფასს უკარგავს – გააკონტროლეთ თქვენი თავი
- ივარჯიშეთ შესტიკულაციების გამოყენებაში, განსაკუთრებით, თუ ისინი ახალია თქვენთვის

სხეულის მოძრაობები

- გათავისუფლებენ დამაბულობისგან
- გეხმარებიან, რომ მსმენელების ყურადღება ისევ თქვენზე გადმოვიდეს და არ დარჩეს ვიზუალურ მასალაზე ან არ მოხდეს უბრალოდ მისი გაფანტვა
- ჩართავს მსმენელებს მიმდინარე პროცესში
- მათი გამოყენებით შეიძლება პრეზენტაციის ტემპის და განწყობის შეცვლა

სახის გამომეტყველება

- ხელს უწყობს სასურველი განწყობის შექმნას
- მასწავლებელი შთაგონების გარეშე = სტუდენტი შთაგონების გარეშე
- უნდა იყოს ვითარების შესატყვისი
- შეიძლება გამოიწვიოს ყურადღების გაფანტვა
- როგორც წესი, მას თვითონ გამომსვლელი ვერ ხვდება

- მან შეიძლება აუდიტორია გაამხიარულოს (გამომსვლელის ხარჯზე) ან პირიქით გაანაწყენოს
- მან შეიძლება გამოიწვიოს საუბრის მიზნებიდან გადახვევა

ხმა, ინტონაცია და მისი ცვლილება

- ინტონაცია, თუ ის არ არის თქვენთვის ჩვეული ინტონაცია, მიუთითებს, რომ თქვენ დამაბული ხართ ან ნერვიულობთ
- უნდა იყოს ისეთი, როგორც თქვენთვის არის ბუნებრივი
- უნდა ცვალოთ იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ აუდიტორიის ყურადღება

ხმის ხარისხი

- ცხვირისმიერი, წვრილი, უხეში, ხრინწიანი ან აქომინებული ხმის დარეგულირება შეიძლება ძნელი იყოს
- თუმცა ვარჯიშით (პრაქტიკით) შეიძლება ბევრი რამის გამოსწორება ან დარეგულირება

ხმის დონე

- ხმის საჭირო სიმაღლე და სიმძლავრე დამოკიდებულია ოთახის და მსმენელთა რაოდენობის სიდიდეზე
- ყველას უნდა ესმოდეს თქვენი ხმა, მაგრამ არ უნდა იყონ დათრგუნული თქვენი ხმით
- ცვალებით ხმის ტემბრი იმისათვის, რომ სათქმელი მიიტანოთ მსმენელებამდე

საუბრის ტემპი

- ზედმეტად სწრაფი საუბრით იმწამსვე დაკარგავთ მსმენელების ყურადღებას, რადგან მათი ყურთასმენა ვერ ეწევა თქვენს ტემპს და ვერ იგებენ, რას ამბობთ
- ნუ წაიბორძიკებთ საუბრისას (მაგ. ჰმ, ჰმ, ჰმ), თორემ აუდიტორია დაკარგავს ინტერესს თქვენი საუბრისადმი
- ცვალებით ტემპი და შექმნით განწყობას

პაუზა

- მას შეუძლია მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია მნიშვნელოვან პუნქტებზე
- გამოიყენეთ დაგეგმილად, ნუ გამოიყენებთ ხშირად

ბგერითი პრობლემები

- “მმმ”-ს ხშირად ამბობენ, როდესაც კარგად არ იცნობს მასალას. ივარჯიშეთ და შეძლებთ შეამციროთ ამ გამოთქმის გამოყენება.

- ხმის დადაბლება – ზოგი ადამიანი წინადადების დაბოლოებისას ხმას უდაბლებს. ამის შედეგად, მოსმენა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება აუდიტორიისთვის. ისევ და ისევ, მეტი ვარჯიში და მომზადება ავტომატურად მოაგვარებს ამ პრობლემას.
- სიტყვების არასწორი გამოთქმა – იწვევს ყურადღების დაკარგვას და ამცირებს მოსაუბრისადმი ნდობას. თუ მსმენელების გონება დაკავებულია იმით, რომ გაარკვიოს, რას ამბობს მოსაუბრე, მაშინ მათ აზროვნების მიღმა დარჩება საუბრის ძირითადი შინაარსობრივი მხარეები.
- ცუდი დიქცია – ნიშნავს, რომ თქვენ არასაკმარისად მკაფიოდ გამოთქვამთ სიტყვებს.²

რჩევები მღელვარების შემცირებისთვის

1. **იყავით ორგანიზებული**
ორგანიზებულობა = ნდობას, რის შედეგადაც პრეზენტაცია მიმდინარეობს ყურადღების გარემოში
2. **გაიარეთ რეპეტიცია გონებაში**
“გონების თვალთ” წარმოიდგინეთ თქვენი თავი, რომ დადიხართ ოთახში, ეცნობით აუდიტორიას, აკეთებთ პრეზენტაციას თავდაჯერებით და ენთუზიანზით და ტოვებთ ოთახს იმის ცოდნით, რომ თქვენ ფასილიტაცია გაუწიეთ კარგ სასწავლო პროცესს.
3. **ივარჯიშეთ**
გამოიყენეთ სარკე ან ვინმეს გააკრიტიკებინეთ თქვენს მიერ გაკეთებული პრეზენტაცია ან ჩაწერეთ თქვენი პრეზენტაციის პროცესი. წამოდექით ფეხზე და წარმოიდგინეთ, რომ თქვენს წინაშეა აუდიტორია.
4. **ისუნთქეთ**
გასწორდით სკამზე, მოეშვით და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ. როდესაც ნერვიულობთ, თქვენი კუნთები დაჭიმულია და გავიწყდებათ ჩასუნთქვა.
5. **კონცენტრაცია მოახდინეთ განტვირთვაზე**
ნუ ჩავარდებით დამაბულობის ტყვეობაში, იფიქრეთ განტვირთვაზე. გაუმეორეთ თქვენს თავს: “მე განტვირთული ვარ”. ჩაისუნთქეთ.
6. **განიტვირთეთ დამაბულობისგან**
სცადეთ იზომეტრიული ვარჯიშის ჩატარება, რომლის მეშვეობითაც გამოუმუშავებთ დაგროვილ დამაბულობას
7. **გაიარ-გამოიარეთ**

² წარმოდგენილი ამონარიდი გადმობეჭდილია მასალიდან “ეფექტური საქმიანი ტექნიკური პრეზენტაციები”, გლ. მორისეი და თომას ლ. სეკრესტი.

სიარული ამცირებს თქვენი სხეულის დამაბულობას. როდესაც ჟესტიკულაცია ბუნებრივია, ამ დროს თქვენ არ აკეთებთ ჟესტებს დიდი რაოდენობით.

8. **დაამყარეთ თვალის კონტაქტი**

უწყურეთ აუდიტორიას თვალებში, დაამყარეთ კონტაქტი და აქციეთ თქვენი პრეზენტაცია პირადულად და მეგობრულად. როდესაც ამყარებთ თვალის კონტაქტს, ამ დროს იკარგება სიმორცხვის შეგრძნება.³

³ ეს ამონარიდი ამოხედილია მასალიდან “ეფექტური პრეზენტაციის უნარები”, ბერტ დეკერის და სტივ მენდელის ავტორობით.

იუმორის გამოყენება 😊

😊🤔 გაეშაყირებით

ასიდან მხოლოდ ერთს შეუძლია სწორად და კარგად შაყირი. თუ თქვენ კარგად დახელოვნებული არ ხართ ტემპში და სტილში, ალბათ სჯობს კარგად დაფიქრდეთ სანამ იხუმრებთ. თუ გადაწყვეტთ გახუმრებას, იფიქრეთ, შეესაბამება თუ არა ეს ხუმრობა არსებულ ვითარებას.

😊🗣️ მოყვეთ ისტორიები და ანეკდოტები

უმჯობესია მოყვეთ საკუთარ თავთან დაკავშირებული ანეკდოტი. ამით ტქვენი ტავი საამჟამოზე გამოგყავთ და მოიპოვებთ აუდიტორიის ნდობას.

😊🤔 იუმორი აადამიანურებს

ჩვენ გვინდა დავამყაროთ კონტაქტი მსმენელებთან, რაც ხშირად ხდება მაშინ, როდესაც გამომსვლელი სასიამოვნო, მოსაწონი პიროვნებაა.

😊🗣️ გახსოვდეთ პიროვნულობის ფაქტორი

ადამიანები ხშირად პოლიტიკურ ლიდერებს ხმას აძლევენ სწორედ “მოწონების” მიხედვით. სხვები კი თავის არჩევანს აკეთებენ იმის მიხედვით, ეთანხმებიან თუ არა ამ ადამიანს ან მხარს უჭერენ მის პოზიციას მისი პიროვნულობიდან გამომდინარე. იუმორი და ადამიანურობა დაგეხმარებათ აღიარების მოპოვებაში.

😊🤔 ადამიანები ხედავენ თქვენს ღიმილს

როდესაც თქვენ საუბრობთ, ამ დროს ადამიანები უყურებენ თქვენს სახეს. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ღიმილს. ინფორმაცია იუმორის გრძნობის შესახებ ხშირად ჩვენი ღიმილით გადაეცემა. მაგრამ ღიმილი უნდა იყოს ბუნებრივი, რომ იგი მიიღონ.

😊🗣️ ადამიანები ყველაზე უკეთ იუმორის მეშვეობით სწავლობენ

ზოგჯერ სწავლისთვის ყველაზე ეფექტური მომენტია იუმორის მომენტი ან როდესაც იგრძნობა განტვირთვა – მოშვება. დააკვირდით ასეთ მომენტებს და მიიტანეთ თქვენი სათქმელი მსმენელამდე.

IV. სწავლების მეთოდები

ლექცია და ახსნა

ახსნა ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული სწავლების მეთოდია; ხშირად მას ლექციის ან პრეზენტაციის მეთოდს უწოდებენ. თუ მას სწორად გამოვიყენებთ, ეს მეთოდი ხელს შეუწყობს ეფექტურ დასწავლას ძირითადი ფაქტების, ცნებების და პრინციპების შესახებ ინფორმაციის გადაცემის გზით.

იმისათვის, რომ ახსნა ეფექტური იყოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება და მაგალითების მოყვანა, აგრეთვე ამ ყველაფრის შესაბამისობა იმასთან, რისი ცოდნაც მსმენელებს სჭირდებათ.
- ინფორმაციის ლოგიკური დალაგება თავის მაგალითებთან და ანალოგიებთან ერთად, რომ მსმენელებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ ცნებებისა და პრინციპების შესახებ.
- ძირითადი საკითხების, ცნებების და პრინციპების ერთმანეთთან კავშირის წარმოჩენა.
- თითოეული ქვესაკითხის შემდეგ ძირითადი პუნქტების შეჯამება.
- პრეზენტაციის ისეთი სტილი, რომელიც უზუნველყოფს მონაწილეთა ჩართულობას და ყურადღებას.
- კარგი დიზაინის მქონე და სწავლების და სწავლის შესატყვისი დამხმარე მასალები.
- მოსწავლეების ჩაბმის შესაძლებლობა.
- ახსნის პროცესი უნდა შემოიფარგლოს გონივრული დროის პერიოდით, მსმენელთა ყურადღების დიაპაზონის გათვალისწინებით და სწავლების მეთოდების ურთიერთშენაცვლებით.
- კარგი ლექცია ნიშნავს თქვენს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების ყველა კომპონენტის გამოყენებას, რომ გარანტირებული იყოს ეფექტური, საინტერესო და მონაწილეობითი კომუნიკაცია. კარგი ლექცია არ გულისხმობს სტუდენტებისთვის რაიმეს წაკითხვას. მასწავლებელი ძირითადად უნდა ზეპირმეტყველებდეს.

დემონსტრირება

დემონსტრირება ფართოდ გამოყენებადი და ეფექტური მეთოდია უნარების სწავლებისთვის, ყველა დონეზე. ახსნის მეთოდის მსგავსად, დემონსტრირების მეთოდიც დაკავშირებულია და აერთიანებს სწავლების სხვა სტრატეგიებს.

წინასწარი დაგეგმვა:

- ჯერ თქვენ თვითონ, თქვენ გონებაში მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ, თუ რის დემონსტრირებას აპირებთ.
- გაანალიზეთ, რა უნარის (უნარების) დემონსტრირებას აპირებთ:
 - (ა) შეარჩიეთ მოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები და დაყავით იგი მარტივ მოქმედებებად ან პროცედურებად.
 - (ბ) გამოარკვიეთ, რა გრძნობები და როგორი ხელის, სხეულის ან ფეხის მოძრაობები მონაწილეობს ამ მოქმედებაში.
- გახსოვდეთ, რომ ის, რაც თქვენთვის ადვილი და გასაგებია, ნაკლებად ადვილი და გასაგები იქნება მსმენელთა უმრავლესობისთვის. ამიტომ, ეცადეთ, გაამარტივოთ, მაგრამ ისე, რომ არ გამოტოვოთ ის ძირითადი უნარები, რომელთა სწავლებასაც მიზნად ისახავთ.
- წინასწარ მოაგვარეთ საჭირო აღჭურვილობის საკითხი და მოამზადეთ დამხმარე საშუალებები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება ამ ყველაფრის აღქმაში.

დემონსტრირების ჩატარება:

- დარწმუნდით, რომ ყველა ხედავს.
- გააღვივეთ ინტერესი მსმენელებში.
- ახსენით, რის გაკეთებას აპირებთ და რატომ.
- თავდაპირველად მთლიანი მოქმედება (ან მისი ცალკეული ნაწილი) თქვენ თვითონ შეასრულეთ, რომ მსმენელებს შეექმნას წარმოდგენა, თუ რა მიზანს უნდა მიაღწიონ.
- ცხადი გახადეთ მოქმედების ძირითადი ეტაპები და დაასახელოთ სავარაუდოდ პრობლემური ადგილები.
- თითოეული მოქმედების ჩატარებისას იმავდროულად სიტყვიერად განმარტეთ, რას აკეთებთ და ეცადეთ, აჩვენოთ უნარი მისი შემსრულებლის თვალთახედვიდან. არ გამოგრჩეთ ის, რაც მთავარია. ზედმეტი ლაპარაკი სტუდენტებს ყურადღებას გაუფანტავს და ველარ დააკვირდებიან დემონსტრირებას.
- თქვენი მოძრაობების ტემპი შეუსაბამეთ თქვენი მსმენელების საჭიროებას, განსაკუთრებით თუ ისინი ჯერ გიყურებენ, შემდეგ კი იწერენ. ყურადღება მიაქციეთ მათ რეაგირებას, მოქმედებებს და ამის მიხედვით დაარეგულირეთ თქვენი ტემპი.
- რაიმე მოქმედების ჩვენებისას მსმენელებს ჩაუნერგეთ თავდაჯერებულობა. ამის შედეგად მათ გაუჩნდებათ სურვილი და მონდომება თვითონ გააკეთონ ყველაფერი.
- ეცადეთ, არ მოახდინოთ ზედმეტი შთაბეჭდილება ან არ “ჩაიფლაოთ” თქვენივე დემონსტრირებაში. გახსოვდეთ, რომ თქვენ ეხმარებით სტუდენტებს იმაში, რომ უშუალოდ მათ აიმაღლონ თავიანთი უნარები. თქვენი უნარებისადმი ზედმეტ ხიბლს ნუ გამოამყავნებთ, რადგან ამან

შეიძლება ზოგ სტუდენტს თვითდაჯერებულობა გაუქარწყლოს, როდესაც ის ეცდები ამ უნარში თვითონ გავარჯიშებას.

- დემონსტრირების დამთავრების შემდეგ, დარწმუნდით, რომ მთელი ეს პროცესი სრულად გაიგეს თქვენმა სტუდენტებმა. სთხოვეთ სტუდენტებს, შეაჯამონ მოქმედების ძირითადი პუნქტები. ეს ხელს შეუწყობს ცოდნაში ხარვეზების აღმოფხვრას და განამტკიცებს ცოდნას.

სწავლების თანამშრომლობითი ფორმები

დისკუსია კოლეგის მონაწილეობით

აღწერა:

კონკრეტულ თემაზე ექსპერტთა მცირე ჯგუფი ჯდება მაგიდასთან, რომელიც მოთავსებულია ოთახის წინა ნაწილში. ისინი აკეთებენ განცხადებას, ხოლო შემდგომ უპასუხებენ აუდიტორიის მიერ მოცემული თემის ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე.

ლოჯისტიკა: ექპერტებს წინასწარ უნდა ეცნობოთ შესაძლო შეკითხვების, თემის და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოადგინონ თავიანთი განცხადება, თემა ან საკითხი.

სასურველია, თითოეულ ექსპერტს ჰქონდეს მიკროფონი. შეიძლება გამოყენებული იქნას ხელში დასაჭერი ან უკაბელო მიკროფონი, ან ორმა ექპერტმა ისარგებლოს ერთი მიკროფონით.

ოთახის სიდიდის მიხედვით, აუდიტორიაში მყოფთ შეიძლება დასჭირდეთ ერთი ან ორი მიკროფონი.

ვარიანტები:

- ექსპერტებმა შეიძლება არ გააკეთონ განცხადება და დისკუსია დაიწყოს პირდაპირ საკითხის განხილვით.
- მოდერატორმა შეიძლება დააწყოს დროის რეგლამენტი თითოეული შეკითხვისა და პასუხისათვის. ამის თაობაზე სასურველია განცხადება გაკეთდეს სესიის დაწყებამდე, რომ არავინ დარჩეს ნაწყენი ან იმედგაცრუებული.
- შეიძლება “ჩაშვებულ” იქნას ერთი ან ორი შეკითხვა, თუ დისკუსია ადვილად არ იწყება ან თუ დისკუსია ჩიხში შევიდა.

პერსონალი:

კოლეგია უნდა შედგებოდეს 3 – 5 წევრისგან. თუ

ექსპერტები მოცემულ საკითხზე გამოცდილებას ფლობენ სხვადასხვა კუთხით, ამან ხშირად საინტერესო განზომილებები შეიძლება შემატოს დისკუსიას.

მოდერატორმა უნდა უთავმჯდომარეოს სესიას, დამსწრე საზოგადოებას გააცნოს ექსპერტები, ხელი შეუწყოს შეკითხვების დასმას და მიაწოდოს ისინი ექსპერტებს. ამავე პიროვნებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ექსპერტები და აუდიტორია თემას არ გასცდნენ, ამიტომ შეკითხვები შეიძლება გადასცეს ან არ გადასცეს ექსპერტებს.

უპირატესობები: ხელს უწყობს აუდიტორიის მონაწილეობას და ურთიერთქმედებას ექსპერტებთან. დროის მოკლე პერიოდში ექსპერტებს საშუალება აქვთ, გადასცენ ძირითადი საკითხები და ინფორმაცია.

ჭორები, ინსინუაციები და არასწორი წარმოდგენები თემასთან ან საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გაიფანტოს იმ ადამიანების მიერ, ვინც იცის მოცემული საკითხი.

როლური თამაშები

აღწერა: რაიმე პრინციპის ან საკითხის დემონსტრირება ხდება იმ გზით, რომ მომხსენებლები და/ან მონაწილეები მოირგებენ ცალკეულ როლებს განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, მაგალითად, მოსამართლის, პროკურორის, დამცველის, ბრალდებულის და მოწმის როლებს. მონაწილეები დემონსტრირების მიზნებისთვის “გაათამაშებენ” სიტუაციას.

უმრავლეს შემთხვევაში, როლური თამაშების სცენარი იწერება სესიის ჩატარებამდე.

როლური თამაშის მიზანი უნდა იყოს მკაფიოდ განმარტებული. ეს ქმნის თავისუფალ, კონსტრუქციულ ატმოსფეროს.

ყურადღებით შეარჩიეთ მონაწილეები. ზოგიერთი მონაწილე შეიძლება იმდენად დელავდეს როლურ თამაშში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომ მათ ხელიდან გაუშვან სწავლის შესაძლებლობა.

ვარიანტები:

მონაწილეებმა შეიძლება ერთობლივად გაწერონ, რას და როგორ იმოქმედებენ თავ-თავიანთი პერსონაჟები როლური თამაშის დროს.

თითოეულ მონაწილეს შეიძლება განესაზღვროს, თუ როგორ მოახდენს რეაგირებას საკითხებზე, ინსტრუქციაში მოცემული სწავლის მიზნიდან გამომდინარე.

მსახიობებმა შეიძლება განმარტონ მათ მიერ შესასრულებელი როლი ან როლის შესრულებისთანავე შეიძლება განიმარტოს, თუ რა მოხდა ამ წუთას. ხშირად რეკომენდებულია, რომ მსახიობებს მიეცეთ მათ მიერ გათამაშებული სიტუაციის ანალიზის საშუალება, რათა მათ თავად გაიაზრონ, რა მოქმედება განახორციელეს.

მსახიობები შეიძლება იყონ “ექსპერტები”, რომელთაც უკვე ამა თუ იმ უნარის დემონსტრირების გამოცდილება ან ახალბედები, რომლებიც სწორედ ახლა დაეუფლნენ ამ უნარს.

თქვენ შეგიძლიათ შეიმუშავოთ საკითხების ნუსხა, რომელთა საფუძველზეც დამსწრეები გააკრიტიკებენ მოთამაშეებს. ეს ხელს უწყობს სასწავლო საკითხების დამახსოვრებას და ღრმად გააზრებას.

პერსონალი:

მსახიობები, რომლებიც შეირჩევიან მონაწილეთაგან ან ექსპერტები – დამოკიდებულია თქვენს მიზანზე.

წამყვანი, რომელიც განმარტავს როლს – თავადაც თამაშობს და ხელს უწყობს თამაშის შემდგომ დისკუსიას ან კრიტიკას.

უპირატესობები:

ეს არის რთული ან ძნელად აღსაქმელი იდეის ან უნარის ადვილად წარმოჩენის ხერხი.

მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, ადგილზევე გამოსცადონ მათ მიერ ახლად ნასწავლი უნარი.

შეუძლია შექმნას თავისუფალი და სახალისო გარემო. როლური თამაშები ხშირად იუმორს წარმოაჩენს, როგორც სწავლების ხერხს.

“ბრენსტორმინგი”

- აღწერა:** ეს არის პროცესი, როდესაც მონაწილეთა ჯგუფი ყურადღების კონცენტრაციას ახდენს რაიმე კონკრეტულ საკითხზე და ცდილობს, იპოვოს გამოსავლები მოსაზრებების კოლექტიურად გამოთქმისა და შეგროვების გზით.
- ლოჯისტიკა:** თავდაპირველად აცხადებენ განსახილველ თემას – რომელიც შეიძლება იყოს დაწერილი სახით ან ზეპირად. თემასთან დაკავშირებით ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფიქსირდება ქაღალდის ფურცელზე, დაფაზე ან პროექტორზე აღწარმოების მეშვეობით, ისე, რომ ყველა ხედავდეს. ჩიხში შემყვანი განცხადებების გაკეთება დაუშვებელია. ასეთი განცხადებები შეიძლება იყოს “ჩვენ ეს ადრე უკვე ვცადეთ. ეს არ გამოვა. ვის აქვს ამის დრო. საერთოდ რატომ უნდა ვიფიქროთ ამაზე?”
- ვარიანტები:** მოსაზრებების ჩამონათვალის შედგენის შემდეგ, ჩამონათვალში აღნიშნული მოსაზრებები შეიძლება შემცირდეს სამუშაო ვარიანტებამდე ან დალაგდეს გამოსავლების პრიორიტეტულობის მიხედვით. ჩამონათვალის შედგენის შემდეგ ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება ამოღებული იქნას, თუ ჯგუფი კონსენსუსით შეთანხმდა ამაზე.
- პერსონალი:** სესიის წარმატებისთვის აუცილებელია წამყვანი, რომელიც ხელს უწყობს და არეგულირებს ამ თავისუფალ დისკუსიას. წამყვანმა შეიძლება თვითონ ჩაწეროს გამოთქმული მოსაზრებები ან ჩაწერის ფუნქცია სხვას მიანდოს, მაგრამ მან უნდა უზრუნველყოს დისკუსიის მსვლელობა და უარყოფითი მოსაზრებების უკუგდება.
- უპირატესობები:** დროის მოკლე პერიოდში გამოითქმება გამოსავლის ბევრი ვარიანტი. იძლევა დასახელებულ თემაზე შემოქმედებითი და შეუზღუდავი მოსაზრებების მობილიზების და / ან გამომხატვრების მიღების საშუალებას.

საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რეალისტურად გაიაზრონ, რა აზრის არიან ადამიანები მოცემულ საკითხზე.

ყურადღებით გამოყენებისა და მეთვალყურეობის შემთხვევაში, მონაწილეები, როგორც წესი, უფრო ღიად ხვდებიან ასეთი პროცესის შედეგად გამოთქმულ მოსაზრებებს.

ერთი გამოსავლის ან მოსაზრების გამოთქმა, როგორც წესი, იწვევს სხვა მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც შეიძლება იყოს დაკავშირებული მოცემულ საკითხთან ან შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული შეხედულება, რომელიც მონაწილეებისთვის მანამდე უცნობი იყო.

დისკუსია მრგვალ მაგიდასთან

აღწერა: დისკუსია ტარდება ადამიანთა მცირე ჯგუფთან, ჩვეულებრივ, “მრგვალ მაგიდასთან” ან წრიულ ფორმატში (შუაში სკამით). მონაწილეები მსჯელობენ კონკრეტულ თემაზე ან საკითხზე.

ლოჯისტიკა: ამ დროს სასურველია იყოს მრგვალი მაგიდა, რომ ადამიანებმა თავისთვის გააკეთონ ჩანიშვნები ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის პროცესში. თემები და საკითხები უნდა იყოს წერილობით დაფიქსირებული. მსჯელობის დასაწყისში სვამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ყურადღების კონცენტრირებას მსჯელობის საგანზე.

ვარიანტები: მსჯელობის დაწყებამდე წინასწარ შეიძლება განისაზღვროს ფასილიტატორები, რომლებიც მოამზადებენ და წარმოადგენენ დამხმარე მასალებს (დოკუმენტაციას) მოცემულ თემებზე.

წამყვანები შეიძლება იყონ მოხალისეები სადისკუსიო ჯგუფიდან.

დისკუსია შეიძლება შეიზღუდოს მოკლე დროის პერიოდით, ხოლო შემდგომ სიტყვა მიეცეს ირგვლივ მსხდომ ყველა მონაწილეს იმ მიზნით, რომ ამოირჩიონ, რომელი თემების განხილვაში სურთ მათ მონაწილეობის

მიღება. მონაწილეები შეიძლება ასევე დაიყონ ჯგუფებად, ამ ხერხის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

მსჯელობისას გამოვლენილი ძირითადი მოსაზრებები შეიძლება წარმოადგინოს წამყვანმა ან პირმა, რომელიც წერილობით აფიქსირებდა ამ მოსაზრებებს (მწერალმა).

პერსონალი: ფასილიტატორები, რომლებიც წინასწარ არიან დანიშნული აშერჩეული მოხალისეებიდან.

პირი, რომელიც წერილობით დააფიქსირებს ჯგუფში გამოთქმულ მოსაზრებებს (მწერალი).

მომხსენებელი, თუ გამოტანილი დასკვნების გაცნობა ხდება მთელი ჯგუფისთვის.

უპირატესობები: იძლევა მაღალი ხარისხით ჩართულობის შესაძლებლობას.

ხდება ინფორმაციის თავისუფლად გაცვლა მცირე ჯგუფებში, მონაწილეთა ფართო სპექტრს შორის.

ქმნის ღია, განტვირთულ გარემოს მონაწილეთა ჩართულობისთვის.

აძლიერებს კავშირებს და გამოავლენს მსგავსი პოზიციების არსებობას მონაწილეებს შორის.

გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეუძლიათ მიიღონ გამოხმაურებები ყველა მონაწილისგან უსაფრთხო და თავისუფალ პირობებში.

კაზუსების განხილვა

აღწერა: ეს ხერხი მსგავსია როლური თამაშებისა, რადგან ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სიტუაცია ან სცენარი გამოიყენება, როგორც სწავლების მეთოდი. კაზუსის განხილვა ნიშნავს მომხსენებლის ან მონაწილეთა მიერ მოყვანილი ჰიპოტეტური მაგალითის განხილვას.

ლოჯისტიკა: კაზუსი წინასწარ უნდა იყოს წერილობით შედგენილი. კაზუსში აღწერილ შემთხვევას თან უნდა ახლდეს სადისკუსიო კითხვები, რომ დისკუსია განსაზღვრული

მიმართულებით წარიმართოს. ასეთი კითხვები შეიძლება იყოს: დაასახელეთ, რა პრობლემები ან საყურადღებო საკითხებია წარმოდგენილი კაზუსში? დაალაგეთ პრობლემები პრიორიტეტების მიხედვით. მოამზადეთ ხუთ პუნქტიანი სამოქმედო გეგმა თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად. რამდენად განსხვავებულია / მსგავსია წარმოდგენილი სიტუაცია ჩვენი სიტუაციისა?

კითხვებზე გაცემული პასუხები შეიძლება დაფიქსირდეს ქაღალდის ფურცლებზე ან პროექტორზე.

დისკუსიის შემდეგ თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის დასკვნებს.

ვარიანტები:

თითოეული ჯგუფი განიხილავს ერთი და იგივე კაზუსს.

სხვადასხვა ჯგუფი განიხილავს სხვადასხვა კაზუსს ან ერთი და იგივე კაზუსს რომელიმე ერთი გარემოების ცვლილებით.

დისკუსიას უძღვება წინასწარ დანიშნული ან სადისკუსიო ჯგუფიდან შერჩეული ფასილიტატორი.

კაზუსში მოცემული გარემოებები შეიძლება თავისუფლად შეიცვალოს ისე, რომ მორგებული იყოს ჯგუფისთვის აქტუალურ საკითხებზე.

ფასილიტატორი ხელს უწყობს სადისკუსიო საკითხებზე მსჯელობას, აგროვებს მოსაზრებებს სხვადასხვა ჯგუფებიდან და მსგავს მოსაზრებებს აკავშირებს ერთმანეთთან.

უპირატესობები:

საშუალებას აძლევს მონაწილეებს, მოცემულ გარემოებებს შეხედონ “გარედან” და არსებული ან წარსულში მომხდარი ვითარება გააანალიზონ ისე, რომ არ მიიღონ თავიანთ თავზე (წყენის გარეშე).

მისი საშუალებით მონაწილეებმა შეიძლება მეტი შეიტყონ რაიმე საყურადღებო გარემოების ან პრობლემის შესახებ ისე, რომ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას ან ჯგუფს რაიმე არ დაბრალებდეს.

შეიძლება გამოყენებული იქნას ახლად ნასწავლი უნარების, ცნებების ან მიღებული ინფორმაციის რეალურ ცხოვრებაში (თუმცა ჰიპოტეტურ, გამოგონილ სიტუაციაში) გამოცდის მიზნით.

პრობლემის გადაჭრა

- აღწერა:** პრობლემის გადაჭრა არის პროცესი, რომლის დროსაც მონაწილეები ასახელებენ პრობლემებს, ადგენენ მათ გამომწვევ ვიწრო ძირეულ მიზეზებს და ასახელებენ მათი გადაჭრის გზებს.
- ლოჯისტიკა და ვარიანტები:** თუ როგორ უნდა მოხდეს პრობლემის გადაჭრის ორგანიზება, დამოკიდებულია უშუალოდ პრობლემაზე, გამოწვევაზე და ვითარებაზე.
- პრობლემის გადაჭრა შეიძლება განხორციელდეს ოფიციალური ჯგუფების, კომიტეტების და სპეციალისტებისგან შემდგარი კომისიების ფორმატში ან შეიძლება გაიმართოს მსჯელობები არაფორმალურ გარემოში.
- პრობლემის გადაჭრის ორგანიზება შეიძლება დაგეგმილი გასვლითი სხდომის სახით ან ექსპრომტად, ვითარების შექმნისას მსჯელობის გამართვით.
- პერსონალი:** მონაწილეები და ლიდერები, რომლებიც ჩართული იქნებიან სასურველი შედეგის მიღწევაში.
- აუდიტორია შეიძლება იყოს როგორც მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები პირები, ასევე საბოლოო მომხმარებლებიც და პრობლემის გამომწვევი პირებიც.
- სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ პრობლემის გადაჭრის პროცესში მონაწილე პირების შერჩევას. თუ მონაწილეებისგან მივიღებთ მოსაზრებებს, გამოხმაურებას და ვარიანტებს, მაგრამ შემდეგ მათი მოსაზრებების გათვალისწინება არ მოხდება, მათი გვერდის ავლით მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება შეხვდნენ წინააღმდეგობით და ეჭვით.
- უპირატესობები:** თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს საბოლოო მომხმარებელიც, მაშინ მიღებული გადაწყვეტილების ფართო მოწონება პრაქტიკულად გარანტირებულია.
- მონაწილეებს სწავლის შესაძლებლობა ეძლევათ თვითონ ამ პროცესის გამოყენებით. მსჯელობისას გაჩენილი პერსპექტივები შეიძლება სხვა შემთხვევაში არ მისცემოდა

მონაწილეებს.

ბევრი ვარიანტის განხილვამ შეიძლება შედეგად მოიტანოს უფრო პრაქტიკული, რეალურად მუშა გამოსავალის პოვნა.

ფასილიტაცია

აღწერა: ფასილიტატორი არის პირი, რომელიც მუშაობს მონაწილეებთან სწავლების მიზნების მისაღწევად. ფასილიტატორის ფუნქციაა, უზრუნველყოს ჯგუფის კონცენტრირება სწავლების მიზეზზე, სწავლებით მისაღწევ მიზნებზე და დასკვნის გამოტანაზე.

წარმატებული ფასილიტაციისთვის აუცილებელი არ არის, რომ ფასილიტატორი იყოს რაიმე კონკრეტული საკითხის ექსპერტი, მაგრამ უნდა იმუშავოს მათთან, ვინც არის მოცემულ საკითხში ექსპერტი და უზრუნველყოს სწავლების პროცესის შესაბამისობა.

ფასილიტატორი კი არ დომინირებს სწავლების პროცესში, არამედ უძღვება მონაწილეებს და ექსპერტებს იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოს პროცესის მსვლელობა. ფასილიტატორი კარგად უნდა იცნობდეს სწავლების ხერხების ფართო სპექტრს, მოქმედებდეს იმის საფუძველზე, თუ როგორ სწავლობენ ზრდასრული ადამიანები და იყენებდეს ზრდასრულთა სწავლების პრინციპების ფართო სპექტრს.

მუშაობა ჯგუფში – თანამშრომლობითი სწავლა

ჯგუფური სწავლა, როგორც სწავლების მეთოდი, შეიძლება ძალზე ეფექტური იყოს სხვადასხვა თვალსაზრისით. იგი ხელს უწყობს ურთიერთობას და გუნდურ მუშაობას, პრობლემის გადაჭრას და გადაწყვეტილების გამოტანას, არის აქტიური საფუძველი სწავლისთვის, შესაძლებელს ხდის ცოდნის გაზიარებას და სხვადასხვა მოსაზრებისა და ხედვის თანხვედრას; აგრეთვე, ის წაახალისებს თანატოლების მიერ ერთმანეთის შეფასებას.

ჯგუფური სწავლის წარმართვა შეიძლება რთული აღმოჩნდეს და ის სიკეთეები, რომლებიც ამ მეთოდისთვის დამახასიათებელია, შეიძლება დაიკარგოს, თუ ჯგუფის საქმიანობა ცუდად ორგანიზებულია და არასათანადოდაა ხელშეწყობილი. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც

მასწავლებელმა უნდა გააკეთოს სავარჯიშოების დაგეგმვისა და ჩატარებისას ის გახლავთ, რომ დარჩეს ამ საქმიანობების მაკონტროლებლად. ამისათვის საჭიროა: ადგილისა და დროის ვადების სრულმასშტაბიანი დაგეგმვა და გაწერა; სტუდენტების ჯგუფებად დაყოფის მიზნით მათი უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების სრულფასოვანი გათვალისწინება; ჯგუფებთან მუდმივი კომუნიკაციის ქონა: მცირე ჯგუფების საქმიანობების და შემდგომ, როდესაც მცირე ჯგუფები კვლავ ერთ ჯგუფად გაერთიანდებიან, მათი პრეზენტაციების კონტროლი; და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საჭიროა მოთმინება.

12 გზამკვლევი წესი მცირე ჯგუფებთან მუშაობისათვის

1. საუკეთესო შემთხვევაში, მცირე ჯგუფის შემადგენლობა უნდა იყოს 4 – 5 ადამიანი. მინიმალური რაოდენობაა 3, ხოლო მაქსიმალური 8.
2. შესასრულებელი დავალება განსაზღვრეთ ძალიან კონკრეტულად. დავალება გაავრცელეთ ნაბეჭდი მასალით, დაწერეთ დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე, ან აჩვენეთ პროექტორით.
3. უთხარით თითოეულ ჯგუფს, რა დროში უნდა შეასრულოს თითოეული დავალება. მიეცით ინსტრუქცია, როგორ გაანაწილონ მოცემული დრო დავალებების შესასრულებლად. თუ დრო ცოტაა, თქვენ შეგიძლიათ დაუსახოთ ჯგუფს ქვე-ამოცანები პრიორიტეტების მიხედვით.
4. იმისათვის, რომ ჯგუფი ჩაეტიოს დროში, თუ მათ ხანგრძლივი დავალება აქვთ მიცემული (30 წუთი და მეტი), თითოეულ ჯგუფს დაანიშნინეთ დროის მაკონტროლებელი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ჯგუფი ჩაეტიოს გამოყოფილ დროში. ანდა, შეიძლება გარკვეულ ინტერვალებში გამოაცხადოთ დარჩენილი დრო.
5. თავიდანვე უთხარით ჯგუფს, ელოდებით თუ არა მისგან მოხსენების წარმოდგენას დავალების შესრულების შემდეგ. მათ უნდა აირჩიონ თავიანთი მომხსენებელი. თუ მოხსენებების გაკეთება არ იგეგმება, ამის შესახებაც უთხარით მათ, რომ დრო არ დაიკარგოს მოხსენების შედგენაზე.
6. სთხოვეთ ჯგუფებს, გააკეთონ მოხსენება მათ მიერ ქვე-ამოცანების შესრულების შედეგების თაობაზე. თქვენს ინტერესებში არ შედის, რომ დავალების მთელი “გემრიელი ნაწილი” პირველმა ჯგუფმა წაიღოს, არამედ ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა დადებითი მხრივ. ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი ჯგუფის კარგად წარმოჩენის შესაძლებლობა.
7. თუ სასურველია შედეგების ვიზუალურად შეჯამება, მიეცით თითოეულ ჯგუფს დიდი ფურცელი ან რამდენიმე ჩვეულებრივი ფურცელი. ასევე მიეცით

მათ მარკერები. ჩანიშვნები ისე უნდა გაკეთდეს, რომ ყველას შეეძლოს დანახვა.

8. თუ დავალებაში შედის რაიმე მასალის წაკითხვა, გამოყოფილი დრო შეზღუდეთ 5 – 10 წუთით. უფრო ხანგრძლივი დავალებები უნდა მიეცეს წაკითხვის დავალებაზე ადრე. რადგან სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა სისწრაფით კითხულობს, თქვენ რისკავთ, რომ ბევრმა მათგანმა შეიძლება ტყუილად დაკარგოს დრო. თუ წინასწარ გამოუგზავნეთ რაიმე მასალა მონაწილეებს, სასურველია თან იქონიოთ ამ მასალების დამატებითი ასლები მათთვის, ვისაც დაავიწყდა თავიანთი ასლის წამოღება.

9. თუ შეხვედრები უნდა გაგრძელდეს მთელი დღის განმავლობაში და რამდენიმე დღე ასეთ რეჟიმში, სასურველია ადამიანები განალაგოთ (დასხათ) სხვადასხვანაირად. სასურველია გამოიყენოთ ჩვეულებრივი სკამები, რომ ყველას შეეძლოს ამ სკამის გადაადგილება. ჯგუფის წევრთა რაოდენობის და სწავლების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, უზრუნველყავით, რომ ყოველმა მონაწილემ იმუშავოს მეორე მონაწილესთან სულ ცოტა ერთხელ მაინც.

10. თუ შესაძლებელია, ოთახი და ადამიანები მოაწყვეთ ისე, რომ ჯგუფებად დაყოფა შესაძლებელი იყოს მოკლე დროში ზედმეტი დროის დაკარგვის გარეშე. ჯგუფური მსჯელობისთვის უპრიანია მრგვალი მაგიდები, რადგან ყველა ხედავს ერთმანეთს და არავინ ზის მაგიდის თავში.

11. ინსტრუქტორი თვალყურს ადევნებს და უსმენს მსჯელობას, მაგრამ თვითონ არ მონაწილეობს. მაგრამ თუ მსჯელობა აცდება განხილვის საგანს ან ადამიანებმა ვერ გაიგეს დავალების შინაარსი, მან უნდა შესთავაზოს რეკომენდაციები. თუ თავად მას ჰკითხავენ მოსაზრებას, ფასილიტატორმა ეს შეკითხვა უკან უნდა დაუბრუნოს ჯგუფს, რათა ჯგუფი თვითონ მივიდეს გადაწყვეტილებამდე და ფასილიტატორმა არ გასცეს პასუხი ჯგუფის მაგივრად. ინსტრუქტორმა შეიძლება ჩაინიშნოს დასკვნები, ილუსტრაციები და შესაბამისი საკითხები შეჯამების გასაკეთებლად ან შემაჯამებელი მსჯელობისთვის

12. შეჯამება უნდა იყოს მოკლე და მარტივი. თუ ჯგუფები სწორად იყო ჩამოყალიბებული, სწორად მიეცათ მითითებები და სწორად იქნა წარმართული მათი მსჯელობა, მონაწილეებს ამ დროისთვის უკვე ექნებათ გაკეთებული თავიანთი დასკვნები და საჭირო არ არის მთელი პროცესის თავიდან გამეორება. თუ ქვე-ჯგუფებმა შეასრულეს სწავლების მიზნები, შეიძლება საჭირო გახდეს მთელი ჯგუფის შეჯამება.

ეს ამონარიდი გადმობეჭდილია მასალიდან “12 გზამკვლევი წესი ქვეჯგუფების გამოყენების თაობაზე”, ტრეინინგის სახლი, 1989წ.

როგორ შევარჩიოთ სწავლების მეთოდი

როგორც ზემოთ აღწერილი მეთოდების ჩამონათვალიდან ჩანს, არსებობს მრავალი გზა, რომელიც ხელს უწყობს დასწავლას. უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთი მეთოდი, ცალკე აღებული, არ არის უპირატესი სხვა მეთოდზე. ყველა მეთოდს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს სეანსის დაგეგმვისას. მაგალითად, ახსნის მეთოდით შესაძლებელია დიდი ოდენობით ინფორმაციის სწრაფად გადაცემა მსმენელთა დიდი ჯგუფისთვის, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს მსმენელთა ჩართულობას, რამაც შეიძლება მათი ყურადღების დაკარგვა გამოიწვიოს.

ქვემოთ ჩამოთვლილია კითხვები, რომლებიც თქვენ საკუთარ თავს უნდა დაუსვათ, როდესაც არჩევთ მეთოდს სეანსის ჩასატარებლად:

- მიიღწევა თუ არა ამ მეთოდით სწავლის დასახული შედეგები?
- გააადვილებს თუ არა ეს მეთოდი დასახული შინაარსის მსმენელებამდე მიტანას და შეუწყობს თუ არა იგი ხელს სწავლის ისეთ სახეების გადაცემას, როგორცაა ცოდნა, უნარები და მიდგომები?
- შესატყვისია თუ არა ეს მეთოდი სტუდენტთა ამ ჯგუფისთვის და ამ ჯგუფში შემავალი კონკრეტული ინდივიდებისთვის, ანუ გააღვივებს თუ არა იგი ინტერესს მათში, გამოიწვევს თვით-პატივისცემას და ა.შ.?
- მოიცავს თუ არა ეს მეთოდი ისეთ რესურსებს, რომლებიც თქვენ ხელთ გაქვთ და “ჯდება” თუ არა იგი მოცემულ გარემოში?
- ჯდება თუ არა ეს მეთოდი თქვენს სტილში ან თქვენი სწავლების უნარების დიაპაზონში? გრძნობთ თუ არა თავს მოხერხებულად და კომპეტენტურად, რომ ეს მეთოდი გამოიყენოთ?

უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, აუცილებელია ვცვალოთ და დავაბალანსოთ სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. მაგალითად, სტუდენტებს ხშირად მოსწონთ ”ბრენსტორმინგი” და კაზუსების ამოხსნა, მაგრამ მათმა ზედმეტად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწყენა და საბოლოო ჯამში არაეფექტურობა დროთა განმავლობაში. მეთოდების ეფექტურობის კვლევები აჩვენებს, რომ ისეთი მეთოდების კომბინაცია, რომლებიც მსმენელებს აძლევს მოსმენის, დანახვის, ლაპარაკის და კეთების შესაძლებლობას, ყველაზე მეტად უწყობს ხელს დასწავლას.

V. სწავლების სპეციალური მეთოდები

როგორ გამოვიყენოთ შეკითხვები სწავლების პროგრამაში

შეკითხვების სწორად გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე რთული, მაგრამ ეფექტური მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს დასწავლას. შეკითხვების დახელოვნებულად გამოყენებით შესაძლებელია სწავლებისას მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა:

- შეკითხვები აღძრავს ინტერესს და მოტივაციას.
- შეკითხვები გამოავლენს მოსწავლეთა ცოდნას მთელი ჯგუფის სასარგებლოდ.
- შეკითხვები ხელს უწყობს ურთიერთობას ჯგუფის წევრებს შორის.
- შეკითხვები მობილიზებას უკეთებს აზროვნების უნარს და პრაქტიკაში ავარჯიშებს ამ უნარს.
- შეკითხვები ხელს უწყობს აზრებისა და გრძნობების თავისთავად გამოხატვას.
- შეკითხვები შეიძლება გამოვიყენოთ სტუდენტის ცოდნისა და გაგების შესაფასებლად.

შეკითხვების გამოყენების ძირითადი ტაქტიკა:

- დასვით შეკითხვა მოკლედ და გასაგებად; ერთ ჯერზე ჰკითხეთ მხოლოდ ერთი რამ.
- შეკითხვა დასვით ინდივიდისთვის თუ ჯგუფისთვის შესატყვისი ინტონაციით და მათთვის გასაგებ ენაზე.
- ამოარჩიეთ თქვენი მიზნებისთვის სწორი ტიპის შეკითხვები; მაგალითად: ღია დაბოლოების მქონე შეკითხვები ინფორმაციის მოსაძიებლად, ხოლო დახურული დაბოლოების მქონე შეკითხვები კონკრეტული პასუხის მისაღებად.
- შეკითხვები დასვით წამახალისებელი ფორმით. ხშირად თქვენი ქცევა განსაზღვრავს პასუხს.
- შეიცადეთ, რომ მისცეთ მოსწავლეებს პასუხის გაცემის დრო. კითხვაზე პასუხის გაცემა გონებაში მთელი რიგი ოპერაციების ჩატარებას მოითხოვს: მესმის თუ არა შეკითხვა? მაქვს თუ არა პასუხი? ვარ თუ არა მზად, რომ შევთავაზო ჩემი პასუხი?
- თქვენი შეკითხვები ყველა თქვენს მსმენელს გაუზიარეთ, რომ ყველას ჰქონდეს მონაწილეობის მიღების საშუალება.

შეკითხვის სახეები:

- ღია

- დახურული
- ზოგადი
- პირდაპირი
- გადაცემითი
- დაბრუნებითი

შეკითხვის გამოყენების შემთხვევები

დახურული დაბოლოების მქონე შეკითხვები შეიძლება დაისვას შემდეგ შემთხვევებში:

1. ადრე მიმოხილული მასალის გამეორება.
2. ჯგუფის ან ინდივიდის იძულება, გამოიმუშავოს პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზა.
3. სწავლის უნარის, გაგების ან ცოდნის შემოწმება.
4. იმ ადგილას დაბრუნება, როდესაც მსჯელობა ასცდა მსჯელობის საგანს.
5. დეზორგანიზებული მოაზროვნის ორგანიზება.
6. მორცხვი მონაწილის წახალისება, რომ მან უპასუხოს შეკითხვას, როდესაც იცის ამ შეკითხვაზე პასუხი.

ღია დაბოლოების მქონე შეკითხვები შეიძლება დაისვას შემდეგ შემთხვევებში:

1. მსჯელობის წახალისება.
2. მოსაზრებების და დამოკიდებულებების და არა მხოლოდ ფაქტების მოპოვება.
3. ღია გარემოს შექმნა, რომელშიც აუცილებელი არ არის, რომ ტრენერი მართალი იყოს.
4. გამოწვევებზე მძლავრი, მაგრამ არა მუქარის შემცველი რეაგირების მოხდენა.
5. იმის გაგება, თუ რა იციან სტუდენტებმა.

ზოგადი შეკითხვები შეიძლება დაისვას შემდეგ შემთხვევებში:

1. მსჯელობის გახსნა.
2. მსჯელობის შენარჩუნება
3. ახალი თემის ან საკითხის შემოტანა.
4. სიტყვის მიცემა ყველა მონაწილისთვის, რომ ყველას შეეძლოს კომენტარის გაკეთება
5. მოცემულ თემაზე სხვადასხვა კომენტარის ან მოსაზრების მიღება.

პირდაპირი შეკითხვები შეიძლება დაისვას შემდეგ შემთხვევებში:

1. მსჯელობის გახსნა.

2. იმ ადამიანისგან პასუხის მიღება, რომელმაც, თქვენ იცით, რომ იცის პასუხი.
3. ჩუმი მონაწილის ჩაბმა.
4. ზედმეტად მოლაპარაკე ან ზედმეტად პასუხის გამცემი მონაწილის თავიდან აცილება, რომელიც პასუხობს ყველანაირ ზოგად შეკითხვას.
5. აღიარების ან სტატუსის მიცემა ჯგუფის შიდა ლიდერისთვის ან მცოდნე მონაწილისთვის.
6. მოლაპარაკე ან თემას აცდენილი მონაწილის დაბრუნება მსჯელობაში.

გადაცემითი შეკითხვები შეიძლება დაისვას შემდეგ შემთხვევებში:

1. სხვების ჩაბმა მსჯელობაში
2. თქვენი მოსაზრებების გამოთქმის მაგივრად სხვა მოსაზრებების გამოთქმისთვის ხელის შეწყობა
3. მცოდნე მონაწილის ჩართვა
4. მოლაპარაკე ან თემას აცდენილი მონაწილის ჩართვა
5. თქვენს მიერ კითხვაზე პასუხის გაცემის თავიდან აცილება.

დაბრუნებითი შეკითხვები შეიძლება დაისვას შემდეგ შემთხვევებში:

1. შეკითხვის ავტორის წახალისება, რომ თვითონ იფიქროს
2. თქვენი აზრის გამოთქმისგან თავის შეკავება, როდესაც საჭიროდ მიგაჩნიათ, არ გამოთქვათ თქვენი აზრი
3. სააშკარაოზე გამოიყვანოთ (ამხილოთ) ის, ვინც პაექრობაში გიწვევთ.
4. საშუალების მიცემა იმისთვის, ვისაც ძალიან უნდა სიტყვაში გამოსვლა, რომ თქვას თავისი სათქმელი.

როგორ ვუპასუხოთ შეკითხვებს რაც შეიძლება კარგად?

შეკითხვაზე პასუხის გაცემის ეტაპები:

- მოუსმინეთ ყურადღებით
- დაადასტურეთ შეკითხვის მიღება
- თუ საჭიროა, მოითხოვეთ განმარტება
- უპასუხეთ შეკითხვას
- შეამოწმეთ, კმაყოფილია თუ არა შეკითხვის ავტორი

ხუთი ეტაპი კარგი პასუხის გაცემისთვის:

1. მოუსმინეთ. გამოიყენეთ აქტიური მოსმენის ხერხები, რომ გაიგოთ ისიც, რაც ითქვა და ისიც, რაც იყო ნაგულისხმევი.
2. დაადასტურეთ შეკითხვის მიღება. აჩვენეთ, რომ გაიგეთ შეკითხვის შინაარსი. აქაც გამოიყენეთ აქტიური მოსმენის უნარები.
3. მოითხოვეთ განმარტება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ეს გჭირდებათ.
4. უპასუხეთ შეკითხვას. უპასუხეთ მოკლედ და საქმესთან დაკავშირებით.
5. შეამოწმეთ, დაკმაყოფილდა თუ არა შეკითხვის ავტორი. დაადასტურებინეთ შეკითხვის ავტორს, კმაყოფილია თუ არა ის თქვენს მიერ გაცემული პასუხით და უპასუხეთ თუ არა მის ინტერესს.

სრულყოფილება მიიღწევა ვარჯიშით როგორი შეკითხვებია ეს შეკითხვები?

როგორია თითოეული ამ შეკითხვათაგანი: ღია, დახურული, ზოგადი, პირდაპირი, გადაცემითი და დაბრუნებითი?

1. ყველა ეთანხმება ამ პასუხს? _____
2. რატომ? _____
3. ტომ, თქვენ როგორ უპასუხებდით ამ შეკითხვას? _____
4. თქვენ ეთანხმებით? კი თუ არა? _____
5. ეთანხმებით? გთხოვთ განმარტოთ. _____
6. შეკითხვა ხომ არ აქვს ვინმეს? _____
7. რა ეღირობა ეს? _____
8. იაკობ, თუ სწორად გაგიგეთ, თქვენ ამბობთ, რომ ეს ასეა? _____
9. სტეფან, იცით თუ არა ... _____
10. შეიძლება ვინმემ შეაჯამოს, რაც ბილმა თქვა? _____
11. ვინ უპასუხებს მარიას შეკითხვას? _____
12. თქვენ, ყველა, რას ფიქრობთ? _____
13. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? _____
14. შეგიძლიათ დაასახელოთ სამი პუნქტი? _____
15. შემდეგ რა უნდა ვქნათ, რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი? _____

მოსმენა და რეაგირება:

დაადასტურეთ

- ამით გასაგები ხდება ის, რაც ითქვა.
- აჩვენებს, რომ თქვენ უსმენდით.
- აჩვენებს, რომ თქვენ გაუგეთ მთქმელს.

აღიარება

- აჩვენებს მონაწილეებს, რომ მათ გამოიწვიეს იდეების ამოქმედება თქვენს გონებაში
- აჩვენებს, რომ მათ თქვეს რაღაც ღირებული
- ხელს უწყობს ერთი თემის გადაზრდას ახალ თემაში

- მსჯელობის პროცესში მოიზიდავს მონაწილეებს

დაკავშირება

- თქვენი მოსწავლის შეკითხვებს აკავშირებს თქვენს მიერ უკვე განხილულ თემასთან
- ერთი მონაწილის კომენტარებს აკავშირებს სხვა მონაწილეების კომენტარებთან
- ზრდის საგნობრივ კავშირს გარე გამოცდილებასა და ახალ სასწავლო მასალას შორის

მიმართულების მიცემა

- მსჯელობას აბრუნებს კვლავ ჯგუფის ხელში
- ხელს უწყობს იმას, რომ ყველამ შეიტანოს თავისი წვლილი
- თავიდან იცილებს მსჯელობის გადაზრდას ცალკეულ დიალოგებში

გამოხმაურება (უკუკავშირი)

- უთხარით მონაწილეებს, როგორია მათი წინსვლის საქმე (შედეგები)
- უთხარით მონაწილეებს, რა შეუძლიათ გააუმჯობესონ
- დააყენეთ ისინი დადებით და კონკრეტულ კურსზე

სოკრატესეული შეკითხვების როლი აზროვნებაში,

სწავლებასა და სწავლაში

ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ანიჭებენ მასწავლებლები უპირატესობას “საგნის სწავლებას” და არა “მონაწილეობით აზროვნებას” არის ის, რომ ისინი არაჯეროვნად აფასებენ კითხვების როლს საგნის სწავლებაში. აქედან გამომდინარე, ისინი ვარაუდობენ, რომ პასუხები შეიძლება ვასწავლოთ კითხვებისგან განცალკევებით. მართლაც, იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული შეკითხვები სწავლების მიღებულ მეთოდებში, რომ თითქმის არასოდეს აღიარებენ, რომ ყველა მტკიცება – განცხადება, რომ ეს ასეა ან ისეა – ნაგულისხმევი პასუხებია სწორედ შეკითხვებზე. მაგალითად, განცხადება, რომ წყალი დუღდება 100 გრადუსზე ცელსიუსით, არის პასუხი კითხვაზე “რა ტემპერატურაზე დუღდება წყალი?” აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოებში გამოთქმული ყველა მტკიცებითი ფორმის განცხადება არის პასუხი შეკითხვაზე. ანუ, ყველა სახელმძღვანელო შეიძლება გადაიწეროს კითხვით ფორმაში, თუ თითოეულ მტკიცებით განცხადებას გადავიყვანთ კითხვის ფორმაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს არასოდეს გაკეთებულა. სწორედ რომ ეს არ მომხდარა – ასახავს დამოკიდებულებას, რომ სწავლებისას პასუხები უპირატესია კითხვებთან

შედარებით და ამით აიხსნება მასწავლებლების არასწორი წარმოდგენა შეკითხვების მნიშვნელობაზე სწავლის (და აზროვნების) პროცესში. დღესდღეობით, ყველა დონის სწავლება გულისხმობს შეკითხვების დიდი რაოდენობის ჩაძირვას იდუმალი “პასუხების” მორევში.

აზროვნების წამყვანი არის კითხვები

მაგრამ აზროვნება წინ მიჰყავს არა პასუხებს, არამედ კითხვებს. კითხვები რომ არ დაესვათ მათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამა თუ იმ დარგს – მაგალითად, ფიზიკას ან ბიოლოგიას – ეს დარგი არასოდეს განვითარდებოდა დღევანდელ მდგომარეობამდე. ფაქტიურად, ყველა ინტელექტუალური დარგი დაბადებულია კითხვების მასიდან, რომლებზე პასუხების მიღებაც საჭიროა ან ძალზე სასურველია. აქედან გამომდინარე, ყოველი დარგი ცოცხლობს მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც წარმოიშვება კიდევ და კიდევ ახალი შეკითხვები და რამდენადაც ისინი სერიოზულად აღიქმება, როგორც გამწევი ძალა აზროვნების პროცესში. იმისათვის რომ გააცნობიერო ან ხელახლა გაიაზრო რაიმე, აუცილებელია დასვა კითხვები, რომ ბიძგი მისცე აზროვნებას.

მასალების დაუსრულებელი ნაკადის მიცემა მოსწავლეებისთვის დასამახსოვრებლად

მოსწავლეებისთვის მასალების დაუსრულებელი ნაკადის მიცემა დასამახსოვრებლად (ანუ დეკლარაციული წინადადებების ან “ფაქტების”, რომლებიც მათ უნდა დაიზუთხონ) ჰგავს ავტომობილის მუხრუჭზე გამუდმებით დაჭერას მაშინ, როდესაც მუხრუჭები უკვე, სამწუხაროდ, გაცვეთილია. ამის ნაცვლად, მოსწავლეებს ესაჭიროებათ კითხვები, რომ აამუშავონ თავიანთი ინტელექტუალური ძრავები; მათ თვითონ უნდა წარმოქმნან შეკითხვები ჩვენი შეკითხვების საფუძველზე იმისათვის, რომ მათ აზროვნებას გარკვეული მიმართულება მიეცეს. აზროვნებას ფასი არ აქვს, თუ ის რაიმე მიმართულებით არ მიდის და, ისევ და ისევ, ჩვენს მიერ დასმული კითხვები განსაზღვრავენ თუ საითკენ მიდის ჩვენი აზროვნება. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი აზროვნება რაიმე მიმართულებით მიემართება, ვსწავლობთ ისეთ რამეს, რაც ჩვენთვის ღირებულია.

- სიღრმისეულ შეკითხვებს ჩვენი აზროვნება ზედაპირიდან უფრო ღრმად ჩაჰყავს და გვაიძულებს, სრულფასოვნად ვიფიქროთ საკითხზე.
- შეკითხვები მიზნების შესახებ გვაიძულებენ განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები.

- ინფორმაციული შეკითხვები გვაიძულებენ შევხედოთ ჩვენი ინფორმაციის წყაროებს და, აგრეთვე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ხარისხს.
- განმარტებითი შეკითხვები გვაიძულებენ, გამოვიკვლიოთ, როგორ ვალაგებთ ან რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ ინფორმაციას და განვიხილოთ მნიშვნელობის მინიჭების სხვა ალტერნატიული გზები.
- დაშვების შემცველი შეკითხვები გვაიძულებენ, გამოვიკვლიოთ ის, რაც ისედაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია.
- შეკითხვები ნაგულისხმევის თაობაზე გვაიძულებენ გამოვარკვიოთ, თუ რა გზით მიდის ჩვენი აზროვნება.
- შეკითხვები მოსაზრების თაობაზე გვაიძულებენ გამოვიკვლიოთ ჩვენივე მოსაზრება და განვიხილოთ სხვა, საქმესთან კავშირში მყოფი, მოსაზრებები.
- შეკითხვები საქმესთან კავშირის თაობაზე გვაიძულებენ გავარჩიოთ, რას აქვს და რას არ აქვს მნიშვნელობა მოცემული საკითხისთვის.
- შეკითხვები სისწორის თაობაზე გვაიძულებენ შევაფასოთ და შევამოწმოთ საკითხის ჭეშმარიტება და სისწორე.
- შეკითხვები სიზუსტის თაობაზე გვაიძულებენ, გავერკვეთ დეტალებში და ვიყოთ კონკრეტული.
- შეკითხვები თანმიმდევრულობის თაობაზე გვაიძულებენ შევამოწმოთ ჩვენ აზროვნებაში წინააღმდეგობების არსებობა.
- შეკითხვები ლოგიკის თაობაზე გვაიძულებენ, შევამოწმოთ, როგორ ვაგებთ ჩვენ აზრს მთლიანობაში იმისათვის, რომ ეს ყველაფერი ურთიერთშესაბამისი იყოს და აზრი ჰქონდეს ამა თუ იმ სახის გონივრულ სისტემაში.

მკვდარი შეკითხვები მკვდარი გონების სარკეა

სამწუხაროდ, სტუდენტების უმრავლესობა თითქმის არასოდეს სვამს აზროვნების მასტიმულირებელ ამგვარ შეკითხვებს. როგორც წესი, ისინი სვამენ მკვდარ შეკითხვებს, როგორცაა “ეს საკითხი გამოცდაზე იქნება?” – ანუ შეკითხვებს, რომლებიც გულისხმობს სურვილს, რომ არ იფიქროს. მასწავლებლების უმრავლესობაც, თავის მხრივ, თვითონ არ ბადებენ კითხვებს და არ სცემენ მათზე პასუხებს, ანუ, არ არიან სერიოზულად ჩართული

თავიანთი საგნის სრულად გაცნობიერებაში ან ხელახალ გააზრებაში. ამის მაგივრად, ისინი წარმოადგენენ სხვების – როგორც წესი, სახელმძღვანელოებში მითითებული – კითხვებისა და პასუხების დისტრიბუტორებს.

ჩვენ მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ აზროვნება იწყება რაიმე ფარგლებში მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება კითხვების წარმოქმნა როგორც მასწავლებლების, ისე სტუდენტების მიერ. სტუდენტების უმრავლესობას, როგორც წესი, ინტელექტუალური შეკითხვები არ უჩნდებათ. ისინი არა მხოლოდ სიჩუმეში სხედან, არამედ მათი გონებაც სიჩუმეშია. აქედან გამომდინარე, მათი შეკითხვები ზედაპირულია, ცუდად ჩამოყალიბებული და სათავისო. ეს ნიშნავს, რომ დროის უმეტეს პერიოდში ისინი არ იაზრებენ იმ მასალას, რომელიც, იდეაში, მათ უნდა ისწავლონ. სხვა სიტყვებით, დროის უმეტეს მანძილზე, ისინი არ სწავლობენ იმას, რასაც უნდა სწავლობდნენ.

თუ ჩვენ გვინდა, სტუდენტები ჩავაბათ ჩვენი სასწავლო მასალის გააზრებაში, ჩვენ ბიძგი უნდა მივცეთ მათ აზროვნებას ისეთი კითხვებით, რომლებიც მათ აღუძრავს დამატებით კითხვებს. ჩვენ უნდა გადავლახოთ ის, რაც ადრინდელმა სკოლის სტილმა გაუკეთა სტუდენტების აზროვნებას. ჩვენ უნდა გავაცოცხოთ ტვინები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მკვდარია, როდესაც ჩვენ როგორც მასწავლებლები ვიღებთ მათ ასამუშავებლად. ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს მოსწავლეებს ის, რასაც შეიძლება ეწოდოს “ხელოვნური შემეცნება” (ხელოვნული სუნთქვის ეკვივალენტი, ოღონდ ინტელექტის კუთხით).

სოკრატესული კითხვა-პასუხის ხელოვნება

სოკრატესული კითხვა-პასუხის ხელოვნება აუცილებელია კრიტიკულად მოაზროვნისთვის, ვინაიდან კითხვა-პასუხის ხელოვნება აუცილებელია აზრის დახვეწისთვის. ის, რასაც სიტყვა “სოკრატესული” უმატებს ამ ხელოვნებას, არის “სისტემატიზაცია”, “სიღრმე” და ძლიერი ინტერესი ამა თუ იმ ცნებების ჭეშმარიტების ან დამაჯერებლობის შეფასების მიმართ.

განსაკუთრებული კავშირი არსებობს კრიტიკულ აზროვნებასა და სოკრატესულ კითხვა-პასუხს შორის, ვინაიდან ორივეს ერთი და იგივე მიზანი აქვს. კრიტიკული აზროვნება ადამიანს უქმნის სრულფასოვან წარმოდგენას გონების ფუნქციონირების შესახებ (შინაარსისა და ჭეშმარიტების დადგენისაკენ სწრაფვისას), ხოლო სოკრატესული კითხვა-პასუხის მეთოდი იყენებს ამგვარად შექმნილ წარმოდგენას ისეთი კითხვების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც არსებითია ამ სწრაფვის ხარისხის უზრუნველფისთვის.

კრიტიკული აზროვნების მიზანია, ჩვენს აზროვნებაში დაამკვიდროს დისციპლინირებული, “გამოყენებითი” აზროვნება, გონივრულობის ძლიერი შინაგანი ხმა, რომ დავაკვირდეთ, შევაფასოთ და ხელახლა დავალაგოთ – უფრო რაციონალური მიმართულებით – ჩვენი აზროვნება, გრძნობა და ქმედება. სოკრატესეულ დისკუსიას მოჰყავს ეს შინაგანი ხმა მისთვის გონივრული სტრუქტურის მიცემით.

სოკრატესეული კითხვა-პასუხის მიმართულება და პრინციპები

მართალია, სოკრატესეული კითხვა-პასუხი საკლასო ოთახში შეიძლება სხვადასხვა გზით ჩატარდეს ეფექტურად, მაგრამ არსებობს პრინციპები, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ნებისმიერი სოკრატესეული დიალოგი. წინამდებარე ნაწილში ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია მითითებების სახით:

სოკრატესეული დიალოგის მწარმოებელმა მასწავლებელმა:

- ყველა შეკითხვას უნდა უპასუხოს შემდგომი შეკითხვით (ეს შეკითხვა უნდა იყოს ისეთი, რომელიც განავითარებს კითხვის ავტორის აზროვნებას უფრო სრულფასოვნად და სიღრმისეულად).
- უნდა ეცადოს გაიგოს – როცა ეს შესაძლებელია – ძირითადი საფუძვლები იმისა, რასაც ამბობენ ან სჯერავთ და ამ საფუძვლებზე ნაგულისხმევი შინაარსი გამოიკვლიოს შემდგომი შეკითხვების დასმის გზით.
- ყველა მტკიცებითი განცხადება უნდა მიიჩნიოს, როგორც შემდგომ აზრებთან დამაკავშირებელი პუნქტი.
- მიიჩნიოს, რომ ყველა აზრი საჭიროებს შემდგომ განვითარებას.
- უნდა აღიარებდეს, რომ ნებისმიერ აზრს არსებობის უფლება აქვს მხოლოდ ურთიერთდაკავშირებული აზრების ჯაჭვში. ბიძგი მიეცით თქვენს სტუდენტებს – თქვენი შეკითხვების მეშვეობით – რომ მიჰყვინენ ამ ჯაჭვის გადაბმებს.
- უნდა აღიარებდეს, რომ ყველა შეკითხვა გულისხმობს წინა შეკითხვების არსებობას და ყველა აზროვნება გულისხმობს წინა აზროვნების არსებობას. შეკითხვების დასმისას, გახსნილი იყავით იმ შეკითხვებისთვისაც, რომლებსაც თქვენი შეკითხვები გულისხმობენ (იხ. ზემოთ, ლოგიკურად ნაგულისხმევი შეკითხვების თაობაზე).

სოკრატესეული დიალოგის მწარმოებელი მასწავლებელი სისტემატურად უნდა სვამდეს შეკითხვებს შემდეგი აღიარებების და დაშვებების გათვალისწინებით:

ყურადღების კონცენტრირება აზრის კომპონენტებზე

- აღიარეთ, რომ ყველა აზრი გულისხმობს რაიმე გეგმას. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე სრულად არ გაიგებთ, რა გეგმა დგას ამ აზრის უკან. (რისი მიღწევით გსურთ, როდესაც ამას ამბობთ? რა არის თქვენი მთავარი მიზანი აზროვნების ამ ხაზში?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი თავის თავში გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის არსებობას. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ იმ უკანა ინფორმაციას, რომელსაც ეს აზრი ეფუძნება ან საიდანაც ის მოდის. (რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებთ ამ კომენტარს? რა გამოცდილებამ დაგარწმუნათ თქვენ ამაში? საიდან ვიცით, რომ ეს ინფორმაცია სწორია?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი მოითხოვს გარკვეული დაშვებების გაკეთებას, დასკვნების გამოტანას, რაიმესთვის მნიშვნელობის ქონა. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ იმ დაშვებებს, რომლებმაც გამოიწვია მისი ჩამოყალიბება. (როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე? შეგიძლიათ განმარტოთ თქვენი ლოგიკა? არის თუ არა ალტერნატიული სიმართლის შემცველი დასკვნა?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი გულისხმობს ცნებების გამოყენებას. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ ცნებებს, რომლებმაც განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს ეს აზრი. (რა არის ის ძირითადი იდეა, რასაც თქვენ აყალიბებთ? შეგიძლიათ განმარტოთ ეს იდეა?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი ეფუძნება სხვა აზრებს (რომლებიც მიიჩნევა, თითქოსდა ეს მართლაც ასეა ან რომლებიც ნავარაუდებია). დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ თუ რას მიიჩნევს ეს აზრი უდაო ჭეშმარიტებად. (რას მიიჩნევთ, როგორც უდაო ჭეშმარიტებას ამ შემთხვევაში? რატომ უშვებთ, რომ ეს ასეა?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი რაიმე მიმართულებით მიდის. ის არა მარტო ეფუძნება რაიმეს (ვარაუდებს), არამედ მიდის რაიმე მიმართულებით (ნაგულისხმევი აზრები და დასკვნები). დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ ნაგულისხმევ აზრებს და დასკვნებს, რომლებიც ამ აზრიდან გამომდინარეობენ. (რას გულისხმობთ, როცა ამას ამბობთ? თქვენ გულისხმობთ, რომ ...?)

- აღიარეთ, რომ ყველა აზრი არსებობს რაიმე თვალსაზრისის ან მითითების ფარგლებში. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ ამ თვალსაზრისს ან მითითებას, რომელიც ინტელექტუალურ რუკაზე ამ აზრის ადგილს განსაზღვრავს. (რომელი თვალთახედვით უყურებთ თქვენ ამას? არსებობს სხვა თვალთახედვა, რომელიც ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი პასუხობს რაიმე შეკითხვას. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზრი, ვიდრე არ გაიგებთ, რა კითხვამ წარმოშვა იგი (მე ზუსტად ვერ ვხვდები, რა კითხვას წამოჭრით თქვენ. შეგიძლიათ განმარტოთ?)

აზროვნების სისტემები და კონტექსტები

- აღიარეთ, რომ ყველა აზრს სამი შესაძლო ფუნქცია აქვს: სუბიექტური მიდრეკილების გამოხატვა, ობიექტური ფაქტის გაცხადება (კარგად დალაგებული სისტემის შემთხვევაში) ან ურთიერთკონკურენციული პასუხებიდან საუკეთესოს შერჩევა (რომელი პასუხებიც წარმოქმნილია ურთიერთკონკურენციული სისტემებიდან). დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით აზროვნება, ვიდრე არ გაიგებთ აღნიშნული სამიდან რომელს აქვს ადგილი (მიისწრაფვის თუ არა კითხვა სუბიექტური ან პირადი არჩევანისკენ? თუ ასეა, მოდით ეს არჩევანი გავაკეთოთ ჩვენი პირადი მიდრეკილებების ჭრილში. თუ ასე არ არის, მაშინ შესაძლებელია თუ არა, რომ შევჯერდეთ ერთ სწორ პასუხზე ამ კითხვაზე (კონკრეტულ სისტემაზე, რომლის ფარგლებშიც უნდა ვეძებოთ პასუხი)? ანდა, გვაქვს თუ არა საქმე ისეთ კითხვასთან, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა პასუხი ჰქონდეს სხვადასხვა თვალთახედვიდან გამომდინარე? თუ ეს ასეა, ყველაფრის გათვალისწინებით, რა არის საუკეთესო პასუხი ამ კითხვაზე?)
- აღიარეთ, რომ ყველა აზრი წარმოშობილია ადამიანურ კონტექსტში. დაუშვით, რომ თქვენ სრულად არ გესმით ეს აზროვნება, ვიდრე არ გაიგებთ, რა კონტექსტში წარმოიშვა იგი. (გვითხარით მეტი იმ ვითარებაზე, რამაც წარმოშვა ეს პრობლემა. რა ხდებოდა იმ ვითარებაში?)

როგორ მოვემზადოთ სოკრატესეული დიალოგის წასაყვანად

სოკრატესეული დისკუსიის წყვანისთვის მოსამზადებლად ერთ-ერთი ყველაზე კარგი გზაა, წინასწარ გავიაზროთ განსახილველი ძირითადი კითხვა წინარე შეკითხვების შედგენით. წინარე კითხვა ის კითხვაა, რომელიც

ნაგულისხმევია სხვა კითხვით. მაგალითად, რომ ვუპასუხოთ შეკითხვას “რა არის კულტურების პლურალიზმი?, ჯერ უნდა ვუპასუხოთ კითხვას “რა არის კულტურა?, ხოლო ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა ვუპასუხოთ კითხვას “რა ქმნის კულტურას?” ანუ “ინდივიდთან დაკავშირებით რა ფაქტორები განსაზღვრავს, თუ რომელ კულტურას მიეკუთვნება ეს ინდივიდი?”

შეადგინეთ წინარე შეკითხვების ჩამონათვალი

იმისათვის, რომ შეადგინოთ წინარე შეკითხვების ჩამონათვალი, უბრალოდ დაწერეთ ძირითადი შეკითხვა, რის ირგვლივაც აპირებთ თქვენი დისკუსიის აგებას და შემდეგ დასვით შეკითხვა, რომელსაც ჯერ უნდა უპასუხოთ იმისათვის, რომ უპასუხოთ ძირითად შეკითხვას. შემდეგ იგივე გააკეთეთ ამ მეორე კითხვასთან დაკავშირებით (ანუ განსაზღვრეთ, რა კითხვას უნდა უპასუხოთ ჯერ, რომ შეგეძლოს ამ მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა) და ასე შემდეგ, გააგრძელეთ ეს პროცედურა თქვენი ჩამონათვალის ყველა ახალ კითხვასთან მიმართებაში.

აღნიშნული ჩამონათვალის შედგენისას, ყურადღება გამახვილებული გქონდეთ ამ ჩამონათვალის მთავარ კითხვაზე და, აგრეთვე, ბოლო კითხვაზე. თუ ამ ყველაფერს კარგად გააკეთებთ, თქვენ მიიღებთ ისეთი შეკითხვების სიას, რომლებიც ამოწმებენ პირველი კითხვის ლოგიკას და, აქედან გამომდინარე, წარმოადგენენ იმ კითხვებს, რომლებიც მიზანშეწონილია თქვენი პირველი კითხვის ირგვლივ სოკრატესეული დისკუსიის წარმოების. სოკრატესეული დიალოგისას, თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად მიჰყვეთ წინარე ლოგიკური კითხვების სიას და გამოიყენოთ იგი, უმთავრესად, როგორც გზამკვლევი მოცემული საკითხის უფრო სიღრმისეული გამოკვლევისთვის.

ადაპტირებულია “კრიტიკული აზროვნების სახელმძღვანელოდან” და ვებგვერდიდან www.criticalthinking.org.

VI. სწავლების და სწავლის რესურსები

სწავლების და სწავლის რესურსები ხელს უწყობენ სწავლებას, ახდენენ რა ყურადღების და ინტერესის მობილიზებას, თემის ძირითადი ასპექტების ხაზგასმას, სტუდენტებისთვის ინფორმაციის წყაროს ფუნქციის შესრულებას, სწავლების მეთოდის გამრავალფეროვნებას და სასწავლო საკითხის ირგვლი ცოდნის ორგანიზებული პაკეტის გადაცემას.

სწავლების რესურსების გამოყენებისას გასათვალისწინებელი ზოგადი საკითხები

სხვადასხვა ტიპის რესურსებს თავიანთი კონკრეტული დანიშნულება აქვთ, მაგრამ ყველა მათგანთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი ზოგადი საკითხები:

- განსაზღვრეთ, რისი მიღწევა გასურთ ამა თუ იმ კონკრეტული რესურსის გამოყენებით (მაგალითად: ხაზგასმა, კითხვების წარმოქმნა, რაიმე პროცესის ჩვენება, ძირითადი პუნქტების შეჯამება და ა.შ.)
- ზედმეტად ნუ გამოიყენებთ რომელიმე ცალკეულ რესურსს. ზედმეტი გამოყენება დაბნევას უფრო გამოიწვევს, ვიდრე სწავლის ხელშეწყობას. ასევე, მხოლოდ ერთი რომელიმე ტიპის რესურსის გამოყენება გამოიწვევს სტუდენტების ყურადღების მალე დაკარგვას.
- წინასწარ შეამოწმეთ, რომ თქვენი რესურსები გამართულ მდგომარეობაშია. ეს ეხება ისეთ რესურსებს, რომლებიც გულისხმობს რაიმე ტექნოლოგიის გამოყენებას, როგორცაა პროექტორი, სლაიდები, კომპიუტერი, მულტიმედია და ა.შ.
- გაკვეთილის ჩატარებისას ყურადღება მიაქციეთ თქვენ ფიზიკურ მდებარეობას და სხეულის მოძრაობებს. სტუდენტების მხერას ნუ დაარღვევთ რაიმე ისეთი ხედით, რომელიც არ შედის თქვენს პრეზენტაციაში.

შავი დაფა/თეთრი დაფა/ფლიპჩარტი

- ნაწერი უნდა იყოს დიდი ზომის და მკაფიო.
- ნაწერი უნდა იყოს ადვილად წაკითხვადი, მიუხედავად იმისა, წერის რა სტილს ამოირჩევთ.
- ყურადღება მიაქციეთ თქვენს ფიზიკურ მდებარეობას დაფასთან მიმართებაში.
- თეთრი დაფის შემთხვევაში, უმჯობესია გამოიყენოთ მხოლოდ ბრტყელი/საჭრისის ტიპის წვეროიანი ან საშუალო სისქის (თუ წვერო მრგვალია) შავი, ლურჯი და წითელი მარკერები.

- თუ დაფა გრძელია, იგი უნდა დაყოთ სეგმენტებად. ამით სტუდენტები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს ტემპის, ფოკუსის და მკაფიო ხედის თვალსაზრისით.

პროექტორის დიაფილმები

- შინაარსი უნდა ეტეოდეს თქვენს მიერ გამოყენებული პროექტორის ეკრანის ფარგლებში.
- შრიფტის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ მკაფიოდ ჩანდეს (20 ან მეტი ზომა).
- გვერდი არ უნდა იყოს გადატვირთული. ეცადეთ, თითოეულ გვერდზე არ განათავსოთ 7 წინადადებაზე ან 50 სიტყვაზე მეტი ტექსტი.
- გვერდზე მოცემული პუნქტები ერთმანეთთან მჭიდრო აზრობრივ კავშირში უნდა იყოს.
- ფერების და შრიფტების ნაირსახეობა თანმიმდევრული უნდა იყოს და არა დატვირთული. შავი, წითელი და ლურჯი ფერები ყველაზე ადვილი აღსაქმელია.
- გამოიყენეთ საჩვენებელი (პასტა ან ფანქარი), როდესაც უთითებთ გვერდზე მოცემულ რომელიმე პუნქტზე.
- ნუ გადაფარავთ გამოსახულებას თქვენი სხეულით ან ხელით.
- ფირებს სწრაფად ნუ შეცვლით. მიეცით სტუდენტებს დრო, რომ წაიკითხოთ და/ან ჩაიწერონ.

დასარიგებელი მასალები

- მათში სრულად არის გადმოცემული ამა თუ იმ გაკვეთილის ან თემის ძირითადი სასწავლო შინაარსი.
- მათი მეშვეობით შეიძლება ძირითადი საკითხების ჩამოყალიბება და ხაზგასმა.
- ისინი არის სწავლის საშუალება და გზამკვლევი გამეორებისთვის.
- ჩანაწერების გაკეთება პროფესიონალიზმს მატებს გაკვეთილს.
- საშუალება მიეცით თქვენს სტუდენტებს, ყურადღება გაამახვილონ თვითონ თემაზე და არ დახარჯონ დრო ყველაფერ იმის ჩაწერაში, რასაც თქვენ ამბობთ. მათ შეიძლება ჩანაწერები გააკეთონ დარიგებული მასალების დამატების სახით.

როგორ შევქმნათ დასარიგებელი მასალები:

- თავდაპირველად დაგეგმეთ მთლიანი სტრუქტურა.

- ფორმატი უნდა იყოს მკითხველისთვის მოხერხებული, დალაგებული და თანმიმდევრული.
- როცა საჭიროა, მიუთითეთ მაგალითები.
- შეიტანეთ ყველა ის საკითხი, რის შეხებაც აპირებთ საუბარს.
- მასალები და თემები ისე დაალაგეთ, რომ ისინი ერთმანეთიდან გამომდინარეობდნენ და წინა უკავშირდებოდეს მომდევნოს.
- გამოიყენეთ მარტივი და არაოფიციალური სტილი, განმარტეთ ტექნიკური ან უცხო სიტყვები.
- წინადადებები და აზრები უნდა იყოს მოკლე.
- ტექსტი დაწერეთ მოქმედებით გვარში და ეცადეთ, ცვალოთ სიტყვები და ფრაზები.
- შრიფტის ზომა უნდა იყოს 10 – 12, გამოიყენეთ ადვილად წაკითხვადი შრიფტი (ინგლისურ ენაში ფონტი Times New Roman ყველაზე იოლად წაკითხვადია)
- ზედმეტად ნუ გამოიყენებთ ხაზგასმებს.

Powerpoint:

- შრიფტი უნდა იყოს დიდი ზომის და ადვილად წაკითხვადი.
- სლაიდს ზედმეტად ნუ გადატვირთავთ ბევრი დეტალით.
- მთელ პრეზენტაციას სლაიდებში ნუ შეიტანთ. გარკვეული ნაწილი დაიტოვეთ, რომ ილაპარაკოთ.
- ნუ დაიწყებთ სლაიდებიდან პირდაპირ წაკითხვას.
- გამოიყენეთ ანიმაციები, ილუსტრაციები, მულტიპლიკაციური ჩანართები და სხვა ისე, რომ ისინი შესატვისი იყოს იმ გზავნილისა, რისი მიტანაც გინდათ აუდიტორიამდე. ზედმეტი ანიმაციები გამოიწვევს ყურადღების გადატანას თქვენი რეალური გზავნილიდან.

VII. სწავლების ადგილის მომზადება

სწავლების ადგილის მომზადება ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სწავლება ეფექტური გამოვიდეს. არის რამდენიმე არსებითი საკითხი, რომლებიც უნდა გახსოვდეთ, როდესაც ადგილს ამზადებთ სწავლებისთვის.

- მიდით ადრე და მოემზადეთ წინასწარ.
- შეამოწმეთ ოთახის მოწყობილობები წინასწარ, თუ შესაძლებელია. გაარკვიეთ ადგილზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

სამახსოვრო სიის ნიმუში:

_____ ჰაერის გამაგრილებელი / გამათბობელი მოწყობილობები გამართულად მუშაობს ანუ ოთახი ვარგისია მიზნისთვის

_____ სკამები და მაგიდები გაწყობილია

_____ ოთახი დასუფთავებულია

_____ ყავა და წყალი ადგილზეა

_____ დასარიგებელი / სწავლების მასალები ორგანიზებულია

შეამოწმეთ მონაწილეთა მასალები

_____ მასალები დარიგებულია

_____ მონაწილეთა სახელების აღმნიშვნელი ბარათები დაწყობილია

_____ დასარიგებელი / სასწავლო მასალები დალაგებულია

შეამოწმეთ აუდიო-ვიზუალური მოწყობილობები

_____ დაფაზე გადასაშლელი ფურცლები (ფლიპჩარტი) და მარკერები მომზადებულია

_____ აღჭურვილობა შეერთებული და შემოწმებულია

- გაასწორეთ პროექტორის ფოკუსი (თუ იყენებთ პროექტორს)
- ხმა შემოწმებულია ოთახის სხვადასხვა ადგილიდან
- სინათლის ჩამრთველების მდებარეობა გარკვეულია

სამახსოვრო სია წინასწარი მომზადებისთვის

შევამოწმე თუ არა

- ადმინისტრაციის და მონაწილეთა მასალები
- ყველა აუდიო და ვიდეო დამხმარე საშუალებები
- ყველა სავარჯიშო, როლური თამაში, სადისკუსიო შეკითხვები

გასაგებია თუ არა ჩემთვის

- პროგრამის მიზნები
- როგორ მივაღწიო ამ მიზნებს
- მასალების გამოყენების თანმიმდევრობა
- ვიზუალური დამხმარე საშუალებების და სწავლების ხერხების ჩვენების მიზანი
- სადისკუსიო შეკითხვების მიზანი
- დრო თითოეული სეანსისთვის

შევამოწმე თუ არა

- ცვლილებები ქცევის წესებში და პროცედურებში, ხომ არ განსხვავდება ისინი პროგრამის მასალებში მოცემული ინფორმაციისგან

----- ვინ ესწრება და როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ მონაწილეობას

მოველოდები თუ არა

----- კითხვებს, რომლებიც მონაწილეებმა შეიძლება დამისვან

მოვამზადე თუ არა

----- დაფაზე გადასაშლელი ფურცლები (ფლიპჩარტი)

----- დასარიგებელი მასალები

VIII. სტრუქტურირებული გაკვეთილის გეგმის შედგენა

ყველა გაკვეთილი, მიუხედავად იმისა, თუ რა თემა უნდა ვასწავლოთ, უნდა შეიცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს:

1. სწავლის მიზნები
2. გაკვეთილის შინაარსი
3. სწავლების მეთოდები
4. სწავლების და სწავლის რესურსები
5. ნასწავლის შეფასება

გაკვეთილის გეგმა არის წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია, თუ როგორ აპირებთ თქვენ ამ ხუთი კომპონენტის შეტანას ნებისმიერ გაკვეთილში, რომლის ჩატარებაც გსურთ. ამ დოკუმენტში ასევე უნდა აისახოს თქვენი კონკრეტულ სტუდენტთა ჯგუფის სპეციფიური ასპექტები, როგორცაა მოდულის დასახელება, თემის ფარგლები, გაკვეთილის ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა და ა.შ. მისი შემქნის მომენტიდან გეგმა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს ამ კონკრეტული გაკვეთილის ჩატარებისთვის. გაკვეთილის ჩატარების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ მის ეფექტურობაზე და შეიტანოთ ცვლილებები მომავალი სეანსებისთვის.

გაკვეთილის გეგმის ნიმუში

მასწავლებელი: _____ თარიღი: _____ დრო: _____

თემა: _____ ადგილი: _____

სწავლის მიზანი:

საკითხი / შინაარსი	დრო (წუთებში)	სწავლების მეთოდები	სწავლების რესურსები
შესავალი:			
ძირითადი ნაწილი:			
შეჯამება:			

თუ რა რაოდენობის დეტალური ინფორმაცია უნდა შეიტანოთ გაკვეთილის გეგმაში – დამოკიდებულია თქვენზე და თქვენი დაწესებულების მოთხოვნებზე. თქვენ ასევე უნდა იფიქროთ, თუ როგორ გამოიყენებთ თქვენ და სხვები ამ გაკვეთილის გეგმას და რა რაოდენობის დეტალური ინფორმაცია გჭირდებათ იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ გაკვეთილის დროს დაბნევის საშიშროება.

სწავლის მიზნები:

სწავლის მიზანი არის განაცხადი კონკრეტული ქმედებების შესახებ, კერძოდ, რისი გაკეთება ან რისი თქმა ან რისი ფიქრი შეეძლება სტუდენტს კურსის ან კონკრეტული სესიის გავლის შედეგად. მიზნებში არ იწერება, თუ რას გააკეთებს ან რას ასწავლის მასწავლებელი.

იმისათვის, რომ მიზნების განაცხადი ინსტრუქტორსაც და სტუდენტებსაც ერთნაირად გამოადგეს:

- ისინი კონკრეტულად უნდა აღწერდეს, თუ რის გაკეთებას შეძლებენ წარმატებული სტუდენტები
- ისინი გასაგები უნდა იყოს სტუდენტებისთვის, რომელთაც ჯერ ვერ მიაღწიეს მიზნებს.

სწავლის მიზნები გამოსახული უნდა იყოს პოზიტიური აღწერილობით, რომელშიც განმარტებულია, რა ცოდნას, უნარს ან შესაძლებლობას დაეუფლება სტუდენტი გაკვეთილის შედეგად.

IX. გამოცდები და შეფასების სხვა მეთოდები

ეფექტური შეფასების პრინციპები

ეფექტურობა. შეფასების ინსტრუმენტი (ტესტი, ნაშრომი) ეფექტურია, თუ ის ზუსტად აფასებს იმას, რის გაზომვაც გვსურს. ტესტი თუ ნაშრომი ეფექტურად უნდა აფასებდეს სტუდენტის კომპეტენტურობას კურსის მიზნებიდან გამომდინარე.

ეფექტურობის პრობლემა სახეზეა თუ:

- დასმულია არაზუსტი ან ბუნდოვანი შეკითხვები;
- ტესტი ითხოვს იმ ცოდნას, რომელიც კურსის განმავლობაში არ იყო მიღებული;
- ტესტის შეფასებისას აქცენტი კეთდება იმ ფაქტორებზე, რომლებიც რეალურად არ ასახავს კურსის მიზანს.

სანდობა. შეფასების ინსტრუმენტი სანდოა, თუ ის სტუდენტის ცოდნას და უნარებს შესაფერისად ზომავს. ანუ ტესტი სანდოა, თუ სხვადასხვა სტუდენტის მიერ შესრულებული ერთი და იმავე დონის ნაწერი ერთი და იმავე ქულით ფასდება.

სანდობის პრობლემები:

- სასაწავლო კურსის შინაარსის და საჭირო უნარ-ჩვევების არაეფექტური შერჩევა;
- შეფასების შეუსაბამობა;

სამართლიანობა. შეფასების სისტემა სამართლიანია თუ:

- შეფასების პროცესში არავის არ ენიჭება უპირატესობა (ობიექტურობა);
- სტუდენტებისთვის ნათელია შეფასების კრიტერიუმები (გამჭვირვალობა);
- შედეგების გაანალიზება ხდება სტუდენტებთან ერთად.

მახასიათებლები, რომელიც გამოცდის ეფექტურობას, სანდობას და სამართლიანობას აუმჯობესებს

1. შეფასების სისტემა უნდა შემუშავდეს სასაწავლო კურსის შინაარსის და საჭირო უნარ-ჩვევების მიხედვით; შინაარსის და უნარ-ჩვევების შეფასება კი მთლიან სასაწავლო კურსში მათ პრიორიტეტულობის მიხედვით უნდა მოხდეს;

2. სასურველია გამოყენებულ იქნეს ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტი;
3. შეფასება არ ამოიწურება სტუდენტის ერთჯერადი შეფასებით;
4. მიმართულებები უნდა იყოს ზუსტი და ნათელი;
5. კითხვები არ უნდა იყოს ორაზროვანი;
6. გამოცდისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი უნდა იყოს სტუდენტთა უმრავლესობისათვის;
7. წერიტი გამოცდის შეფასებისას:
 - უკეთესია არ იცოდეთ სტუდენტის ვინაობა;
 - შეფასების დაწყებამდე გადაიკითხეთ რამდენიმე ნაშრომი, რათა აღიქვათ ტიპიური ნაწერი;
 - შეკითხვები შეაფასეთ თანმიმდევრობით და უმჯობესია, თუ შეფასებას დაასრულებთ ერთ ჯერზე;
 - ვიდრე შემდეგ ნაშრომს შეაფასებდეთ, აურიეთ ნაწერები;
 - ნაშრომები წაიკითხეთ კონკრეტული პროცედურის დაცვით - Key (points) or Rank (piles),
8. დახურული ტიპის კითხვების შემთხვევაში (multiple-choice), სტუდენტებს ნება დართეთ ახსნან პასუხები;
9. დაწყებით კურსებთან ჩაატარეთ საცდელი გამოცდები.

შეფასების ტიპები და ინსტრუმენტები

გამოცდა

ფორმატი

კლასში, დახურული წიგნით (დამხმარე მასალა არ დაიშვება)

კლასში, ღია წიგნით (open book)

სახლში

კითხვების ტიპები

ესეს დაწერა;

ღია შეკითხვები, რომელიც მოკლე პასუხებს ითხოვს;

დახურული შეკითხვები, რომელიც რამდენიმე სავარაუდო პასუხიდან, სწორი პასუხის ამორჩევას ითვალისწინებს.

ნაშრომი

კვლევა

დოკუმენტის პროექტირება (საჩივარი ან ხელშეკრულების პროექტი)
ანალიზი (ესე, დღიური)

ქვიზი

კლასში

ვებ-გვერდზე

სტუდენტის აკადემიური მოსწრება

ჩართულობა

არგუმენტების მოყვანა, მოლაპარაკება და სხვა.

უკუკავშირი სტუდენტებთან მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ

რატომ?

სწავლა

მოტივაცია

პატივისცემა

მოლოდინი

როგორ?

გამოცდები (მოდელი, ნიშნების დაფა, სამაგალითო ამოხსნები, საკლასო
დისკუსია, კონფერენცია, კომენტარები);

ქვიზი (კლასში, ვებ გვერდზე);

ნაშრომის სამუშაო ვარიანტი (მასწავლებლის კომენტარები, შეფასების
კრიტერიუმების მიხედვით სხვა სტუდენტების მიერ ნაშრომის გადახედვა);

აკადემიური მოსწრება;

კლასში - მასწავლებელი

არგუმენტების მოყვანა, მოლაპარაკება და სხვა - სტუდენტები ან ადვოკატები

პრაქტიკული რჩევები from the Trenches*

კარგია თუ:

1. პერიოდულად შეამოწმებ, რასაც ასწავლი;
2. ჩამოწერ საკუთარ შეკითხვებს;
3. თანამშრომელი გადახედავს შენს მიერ შედგენილ საგამოცდოს;
4. საგამოცდოში მოიცავს დაწვრილებით ინსტრუქციებს და შეფასების
კრიტერიუმებს;
5. უკუკავშირს დაამყარებ სტუდენტებთან მათ აკადემიურ მოსწრებასთან

დაკავშირებით.

თავიდან ასაცილებელი შემთხვევები:

1. ნუ შეეცდებით გამოცდის საკითხები იყოს განსაკუთრებით რთული;
2. არ დაუშვათ საგამოცდო საკითხებში ტოპოგრაფიული შეცდომები და არ შეიტანოთ ორაზროვანი შეკითხვები;
3. არ შეადგინო სტუდენტთა ოფიციალური თუ არაოფიციალური რეიტინგები და არ შეადარო სტუდენტები ერთმანეთს;
4. დროულად გამოაქვეყნეთ გამოცდის შედეგები;
5. არ გადაასწოროთ ნიშნები, შეცდომით გამოთვლილი შედეგის ან სხვა რაიმე აუცილებელი შემთხვევის გარდა.

ტესტის შედგენის ზოგადი პრინციპები:

ნებისმიერი ტესტის შედგენისას დაიმახსოვრეთ:

- შეეცადეთ ტესტი ასახავდეს პირობებს, ქცევებს და სტანდარტებს მისი მიზნებიდან გამომდინარე;
- სტუდენტებს მიეცით ნათელი, მარტივად გასაგები ინსტრუქცია, რისთვისაც საჭიროა:
 - გამოიყენოთ მოკლე, ზუსტი წინადადებები და მოერიდეთ გრძელ და ზედმეტ სიტყვებს;
 - გამოიყენოთ მტკიცებითი ფორმულირება, თუ ეს შესაძლებელია;
 - როდესაც იყენებთ უარყოფით ფორმულირებას, შეეცადეთ სტუდენტის ყურადღება მიიპყროთ უარყოფითი სიტყვის ხაზგასმით ან გამუქებით;
 - თავიდან აიცილეთ ემბაკური შეკითხვები, რადგან ეს არ უწყობს ხელს სტუდენტის მორალის განვითარებას;
 - შეეცადეთ, შეიმუშაოთ მარტივი შეფასების სისტემა, რათა დაზოგოთ დრო და მარტივად აუხსნათ სტუდენტებს.

სწორი/არასწორი ტესტები:

ეს ტესტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ადვილად შესადგენი ტიპია. პასუხები მარტივია, ითხოვს სტუდენტებისგან განსაზღვრონ მოცემული წინადადება სწორია თუ არასწორი. სწორი/არასწორი ტესტების შედგენისთვის გასათავლისწინებელია რომ:

- შეკითხვები უნდა იყოს მოკლე და სწორედ შედგენილი, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს სტუდენტი;
- სწორი და არასწორი შეკითხვების თანმიმდევრობა უნდა იყოს შესაბამისი;

- ამ ტიპის ტესტმა უნდა შეძლოს გაზომოს ის ცოდნა, რაც ჩვენ გვინტერესებს;
- შეეცადეთ, სწორი და არასწორი წინადადებების რაოდენობა იყოს დაბალანსებული;
- წინადადება აუცილებლად უნდა იყოს სწორი ან არასწორი, ანუ არ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული სწორი იყოს და ზოგიერთში არა.

დახურული ტიპის შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით:

დახურული ტიპის შეკითხვები ზოგჯერ სხვადასხვა ფორმატით და სტრუქტურით გვხვდება, თუმცა ყველა შემთხვევაში აუცილებლად დასმულია შეკითხვა, რომელსაც აქვს რამოდენიმე სავარაუდო პასუხი (ძირითადად 4). ზოგიერთი შემთხვევაში, ამ ტიპის შეკითხვებში კონტექსტის დასაზუსტებლად იყენებენ დამხმარე მასალებს როგორც არის ცხრილები, დიაგრამები, გრაფები და ა.შ. სტუდენტმა უნდა აირჩიოს სავარაუდო პასუხებიდან ერთ-ერთი.

დახურული ტიპის შეკითხვების შესადგენად გასათავლისწინებელია:

- არის თუ არა შეკითხვა შედგენილი სილაბუსის და მასალების მიხედვით, რაც სასწავლო კურსის განმავლობაში იქნა შესწავლილი?
- ამოწმებს თუ არა შესაბამის შესაძლებლობებს და არ მოიცავს შეუსაბამოს?
- არის თუ არა შეკითხვა შესაბამისი სირთულის?
- არის თუ არა შეკითხვა ნათლად დასმული?
- არის თუ არა სწორი პასუხი დასაბუთებული?
- ხომ არ არის შეკითხვა ადვილად მისახვედრი?
- რამდენად გამართულია შეკითხვა გრამატიკულად, სტილისტურად, ტერმინოლოგიურად და იყენებს თუ არა სწორ აბრევიატურებს?

გამოცდა ესეს სახით:

გამოცდა ესეს სახით ძირითადად ითხოვს მოკლე პასუხს შეკითხვაზე (ერთ ან ორ წინადადებას) ან ვრცელ პასუხს, მაგ. ფაქტის შესახებ ანალიზის გაკეთებას, რასაც აშშ-ს ტრადიციულ სამართლის სკოლებში იყენებენ. გამოცდა ესეს სახით არაჩვეულებრივი ინსტრუმენტია, რომელიც აფასებს სტუდენტის ფიქრის, ცოდნის გამოყენების და წერის უნარებს-ჩვევებს.

ამ ტიპის გამოცდის ჩატარებისას საჭიროა:

- სრული და ზუსტი ინსტრუქციის მიცემა;
- განსაზღვრული უნდა იყოს თემის მოცულობა და ამ დავალების შესასრულებლად განკუთვნილი დრო;

- სტუდენტებმა უნდა იცოდნენ ესეს თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი რათა შესაბამისად გამოიყენონ დავალების შესასრულებლად განსაზღვრული დრო.

IRAC – The Fundamental Building Block of Legal Analysis

	ფაქტის წერილობითი ანალიზი სამართლის გამოცდაზე
საკითხი:	რა სამართლებრივ პრობლემებთან გვაქვს საქმე მოცემული ფაქტების გათვალისწინებით? (Issue Spotting)
ნორმა:	რომელი სამართლებრივი ნორმები შეესაბამება აღნიშნულ საქმეს?
ანალიზი:	როგორ უნდა იქნას სამართლებრივი ნორმა გამოყენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე?
დასკვნა:	საქმის შედეგი? ვინ იქნება გამარჯვებული?

საკითხი დადგენა - პირველი ნაბიჯი

"საქმის ფაქტები გვკარნახობს საკითხებს."

საკითხის დადგენისას მთავარია, ამოვიცნოთ რომელი ფაქტები იწვევს რომელ საკითხებს. კანონმდებლობის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ერთი ფაქტის გამორიცხვამ ან დამატებამ შეიძლება გამოიწვიოს საკითხები/პრობლემების გამორიცხვა ან დამატება საქმიდან, რაც სრულიად სხვა ნორმების გამოყენებას მოითხოვს.

ნორმა - რა არის კანონი?

"საკითხი წყდება კანონის ნორმებიდან გამომდინარე."

მარტივად, რომ ვთქვათ, ნორმა არის კანონის წყარო. ნორმა შეიძლება იყოს ზოგადი კანონი (ჩვეულებითი სამართალი) რომელიც სასამართლოების მიერ არის მიღებული ან კანონი რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ არის დადგენილი (პრეცედენტული სამართალი).

ყველა საქმიდან რომელსაც გაეცნობით, გამოყავით კანონის ნორმები მისი კომპონენტებად დაყოფის შედეგად. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, დასვით შეკითხვა: რა ელემენტები უნდა დასაბუთდეს, რომ ნორმას ჰქონდეს სამართლებრივი ძალა?

ანალიზი - ადვოკატირების ხელოვნება

"შეადარე ფაქტები ნორმებს ანალიზის გასაკეთებლად"

ეს სფერო შედარებით მარტივია. ყოველი რელევანტური ფაქტისთვის, საჭიროა დაისვას შეკითხვა, ასაბუთებს თუ არა იგი ნორმას. თუ კანონი ითხოვს, რომ ნორმის გამოყენებისთვის საჭიროა გარკვეული პირობები, მაშინ ამ პირობების არარსებობა გვეხმარება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნორმა შეუსაბამოა. მაგ. 500 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონლის გაყიდვის შემთხვევაში აუცილებელია წერილობითი კონტრაქტი. შედეგად, როდესაც ანალიზს უკეთებთ ნასყიდობის ხელშეკრულებას, ყურადღებას აქცევთ ორი ფაქტის არსებობა/არარსებობას - საქონლის ღირებულებას და არის თუ არა კონტრაქტი წერილობით გაფორმებული.

დასკვნა - პოზიციის დაფიქსირება

"ანალიზის შედეგად მიდიხარ დასკვნამდე შეესაბამება თუ არა ნორმა ფაქტებს"

დასკვნა განტოლების ყველაზე მოკლე ნაწილია. იგი შეიძლება უბრალოდ იყოს გამოხატული პასუხით „კი“ ან „არა“, იქედან გამომდინარე ნორმა გამოიყენება თუ არა კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაში. ზოგ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია როგორც ერთი, ასევე მეორე გზით წასვლა. ზოგიერთი ამ დროს უშვებს შეცდომას და არ მიჰყვება არცერთ გზას. როგორც ადვოკატი, უნდა აირჩიო გარკვეული პოზიცია და მხარი დაუჭირო მას,

მეორე გავრცელებული შეცდომა არის, რაიმეზე დასკვნის გაკეთება საფუძვლის გარეშე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ადვოკატები ანალიზის გარეშე არასდროს მოქმედებენ. არჩეული პოზიცია უნდა იყოს მკაცრად დაფუძნებული ანალიზზე.

თუ შესაბამისი ნორმა არ არსებობს, ეს იმას არ ნიშნავს რომ მხარე უდანაშაულოა ან არ გააჩნია ვალდებულებები. შესაძლოა იყოს სხვა ნორმა, რომლითაც უნდა განისაჯოს მხარე. სხვა სიტყვებით, თქვენ შეიძლება დაადგინოთ, შეესაბამება თუ არა ნორმა მოცემულ ფაქტებს, მაგრამ შესაძლებელია თუ არა სხვა შედეგის მიღება, ამასთან დაკავშირებით არ უნდა გაკეთოთ დასკვნა. ამ შემთხვევაში, უნდა წამოწიოთ სხვა ნორმა და გაანალიზოთ ფაქტები ხელახლა.

ამასთან, დასკვნა უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც *შესაძლო შედეგი*. სასამართლოები, მოცემულ ფაქტებს ზოგჯერ განსხვავებულად განიხილავენ და მათი ინტერპრეტაციაც შესაძლოა განსხვავდებოდეს. შეეცადეთ დააკვირდეთ მოწინააღმდეგის პოზიციის ვალიდურობას, თუ თქვენს ქეისს აქვს ხარვეზები, აუცილებლად უნდა მოხდეს ამ სისუსტეების ამოცნობა და იდენტიფიკაცია.